

F1093
1949

ს ი ა ხ ლ
საქართველოს მთავრობის
მინისტრის მიერ განკარგულების
მინისტრის მიერ განკარგულების
მინისტრის მიერ განკარგულების

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს პრეზიდიუმის
და განკარგულებისთა

კრიზისი

შედეგები მინისტრის

№ 8—9

Сборник приказов и распоряжений
Министерства Просвещения Груз. ССР

1949 წ.

ზ ი ნ ი ა რ ს ი

	83-
1. ბრძანება № 24363, მუშა ახალგაზრდობისა და მოხრდილთა სკოლების მუშაობის შედეგები 1948—49 სასწავლო წელს	2
2. ბრძანება № 2464, რუსული ენის კურსების მუშაობის შესახებ	20
3. ბრძანება № 2465, სოფლის ახალგაზრდობის ხალამოს სკოლებში 1948—49 სასწავლო წლის შედეგების შესახებ.	26
4. ბრძანება № 2711, მუშა ახალგაზრდობისა და მოხრდილთა სკოლების მიერ 1949—50 სასწავ. წლისათვის ჩატარებული სამზაღვის შესახებ	43
5. ბრძანება № 3631, მუშა ახალგაზრდობისა და მოხრდილთა საშუალო სკოლებში სიმწიფის ატესტატის მისალები წერილი ნამუშევრების რე- ცენტრის მიერ გამოცდების უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებული გამოცდების შედეგების შესახებ	45
6. ბრძანება № 3670, რუსული ენის კურსებშე სწავლის დაწყების პირველი დღეების მიმღინარეობის შესახებ	59



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2463

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საჭარბებელი

1949 წლის 3 აგვისტო.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სპოლების მუშაობის უფლებები 1948—49 სასწავლო წელს
 ბეჭედი 1948—49 სასწავლო წელს

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა რვაწლიანი და საშუალო სკოლები მომზადებული შეხვდენ 1948—49 სასწავლო წელს. დროულად ჩატარდა იმ ახალგაზრდების აღრიცხვა, რომლებიც ჩაბმული უნდა ყოფილიყვნენ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში. ტყიულის რაონში 1948 წლის ივლის-აგვისტოს განმავლობაში ადგილობრივი მუშა ახალგაზრდობის სკოლის დირექციისა და პედაკოლექტივის მიერ სახალხო განათლების განყოფილების ხელმძღვანელობით ქვანახშირის ტრესტის ტყიბულის შახტებში, საწარმოებში და საამქროებში ჩატარდა სკოლაში ჩასაბმელი ახალგაზრდობის კონტრეგულტის აღრიცხვა. ამ მუშაობაში უშუალო მონაწილეობას იღებდა საწარმოების ადმინისტრაციაც. ასევე დროულად და მაღილებრივისხმერიც ჩატარდა აღნიშნულ სკოლებში ჩასაბმელი კონტრეგულტის აღრიცხვა აქარის ასსრ-ში, ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში, გორის, შულუკიძის, თელავის და მთელ ჩაგსევა რაიონებში. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სახალხო განათლების ორგანოებს ქმედით დახმარებას უწევდნენ აღილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკუმირული და პროფესიული ორგანიზაციები.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლები სწავლის დაწყებისას უზრუნველყოფილი იყვნენ კვალიფიციური პედაგოგებით, სასწავლო გეგმებით, პროგრამებით, სათანადო მეთოდური მითითებებით და მტკიცე ცხრილით. სკოლების დიდი უმრავლესობა უზრუნველყოფილი იყო აგრეთვე მტკიცე გატერიალური ბაზით.

1948—1949 სასწავლო წელს ჩელს რესტუბლიკაში არსებობდა სულ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა 79 სკოლა, 555 კლასით, მოსწავლეთა რაოდენობა კი შეაღენდა 8651 კაცს.



მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში ჩაბმული იქმით ნენ საწარმო-დაწესებულებათა მუშები, მოსამსახურები, ომისა და შრომის ინვალიდები და სხვა მშრომელები. ზოგ სკოლაში მოსწავლეთა მთელი კონტინგენტი მარტი მუშებისაგან შედგებოდა. ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის № 1 რეაწლიანი სკოლა მთლიანად დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი სამკერვალო ფაბრიკის, მაუდის ფაბრიკის, საკონსერვო ქარხნის, ლიტოპონის ქარხნის, ავტოქარხნის შენებლობის მუშებით.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლები სარგებლობდნენ მასობრივი სკოლების შენობებით, მატერიალური ბაზით, ინვენტარით და მოწყობილობით. მასობრივი სკოლების რიგი დირექტორები ხელს უწყობდნენ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებს მასობრივი სკოლების მატერიალური ბაზის გამოყენების საქმეში.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა რიგ სკოლებში დირექტორებმა და მასწავლებლებმა კარგი თაოსნობა გამოიჩინეს სკოლების საჭირო ხელსაწყოებით უზრუნველყოფის საქმეში. მაგალითად, გორის მუშა ახალგაზრდობის სკოლამ თანდათანობით შეიძინა სხვადასხვა ხელსაწყოები და ამჟამად სკოლას უკვე მოეცოდება ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყოები. სკოლამ შეიძინა აგრეთვე საკუთარი ბიბლიოთეკაცხაშურის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლმა დ. ჩიქოვანმა თავისი ინიციატივით სკოლას შეუქმნა საკუთარი ქიმიის კაბინეტი და სხვ.

სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებს ამარაგებდნენ სახელმძღვანელოებით, რუკებით, რვეულებით და სასწავლო ნივთებით მასობრივი სკოლების თანაბრად.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლები უზრუნველყოფილი იყენებ გამოცდილ, საქმის მცოდნე და დახელოვნებულ დირექტორთა კადრებით. კარგად მუშაობდა ბათუმის ნაგოთობსახ-დელ ქარხანასთან ირსებული მოზრდილთა № 23 საშუალო სკოლის დირექტორი ს. ნაცვლიშვილი. ის სისტემატურ კონტროლს ახორციელებდა სკოლის მასწავლებელთა ყოველდღიურ მუშაობაზე, კონკრეტულ დახმარებას უწევდა მასწავლებლებს მეთოდურად სწორი და იდეურად გამართული გაკვეთილების ჩატარებაში. სკოლის დირექტორის ენერგიული მუშაობის შედეგად ამ სკოლაში კარგად იყო მოწესრიგებული მუშაობის დაგეგმვის საკითხი, სათანადო სიმაღლეზე იყო დაყენებული სასკოლო დოკუმენტაცია, კარგი იყო

მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრება, სრულ წესრიგში იყო მოსწავლეთა პირადი საქმეები. სკოლაში საერთოდ იგრძნობოდა ქტორის კარგი ხელმძღვანელობა. გასულ სასწავლო წელს კარგად მუშაობდნენ აგრეთვე ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 2 საშუალო სკოლის დირექტორი თ. გველუქაშვილი, № 9 საშუალო სკოლის დირექტორი მ. მხეიძე, № 11 საშუალო სკოლის დირექტორი ა. ფოჩხუა, ქ. ფოთის მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორი ა. ტულუში, აბაშის მოზრდილთა სკოლის დირექტორი გ. გაბალაია და სხვები, რომელმაც თავისი ნაყოფიერი მუშაობით უზრუნველყოფს ამ სკოლებში სასწავლო წლის სათანადოდ წარმართვა და წარმატებით დამთავრება.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები—განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები ახორციელებდნენ ხელმძღვანელობასა და კონტროლს მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მუშაობაზე. აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ და სახალხო განათლების სოცუმის საქალაქო განყოფილებაში წლის განმავლობაში 2—3-ჯერ შეამოწმეს აღნიშნული სკოლების მდგომარეობა და მუშაობა. შემოწმების შედეგების საფუძველზე სკოლების ხელმძღვანელებს მიეცათ კონკრეტული მითითებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. აქარის ასსრ განათლების სამინისტრო და სახალხო განათლების ბათუმის საქალაქო განყოფილება სისტემატურად ამოწმებდნენ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მუშაობას. სასწავლო წლის განმავლობაში ყველა სკოლა მთლიანად იყო შემოწმებული, რეგულარულად სწარმოებდა აგრეთვე ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შემოწმება. შედეგები იხილებოდა პედსაბჭოს სხდომებზე, აგრეთვე აქარის ასსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე და მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე. ასევე კარგად ხელმძღვანელობდნენ სკოლებს ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. ფოთის, ტყიბულის, გეგმვიორის, სამტრედიის, თეთრიოწყაროს, წულუკიძის და სხვა რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები.

მთელ რიგ რაიონებში და სკოლებში კარგად იყო ორგანიზებული მეთოდური მუშაობა. მაგალითად, აფხაზეთის ასსრ-ში სასწავლო წლის განმავლობაში ქალაქებისა და რაიონების მიხედვით ორჯერ ჩატარდა მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგებებისა და მასწავლებლების მეთოდური თათბირები. რეგულარულად ტარდებოდა აგრეთვე სექციური მუშაობა ცალკეულ სასწავლო დისკიპლინებ-

ში. ბათუმის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში (დირქე ტორი თ. გოგიარიძე) კარგად იყო დაყენებული მეთოდური კომიტეტის სიის მუშაობა. კომიტეტის სამუშაო გეგმა შინაარსიანად და მოქმედებულად იყო შედგენილი, გეგმაში შეტანილი იყო აქტუალური საკითხები. კომიტეტის მთელი მუშაობა გეგმების საფუძველზე მიმდინარეობდა. გეგმაში გათვალისწინებული ყველა საკითხი დამუშავებულია.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა რიგ სკოლებში ნაყოფიერად მიმდინარეობდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. სასწავლო წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი წარმატებები იყო მოპოვებული სასწავლო დისციპლინების სწავლების საქმეში.

მაგალითად, თელავის მოზრდილთა საშუალო სკოლაში მასწავლებელთა კოლექტივი თავგამოდებით იბრძოდა სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის. ცალკეული საგნების სწავლებასთან ერთად ისინი ატარებდნენ აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებსაც. აღნიშნულ სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდნენ თ. მწყერაძე (მე-5—8 კლასებში) და გ. ქართველიშვილი (მე-9—11 კლასებში). სასწავლო წლის განმავლობაში ისინი გულმოდგინედ მუშაობდნენ, ენერგიას არ ზოგავლნენ, რომ ამ საგნის სწავლება სათანადო სიმაღლეზე დაეყენებინათ. სწავლების დროს ისინი უნერგავდნენ მოსწავლეებს სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულისა და თავდადების გრძნობას. ი. ჭავჭავაძის „ქართვლის დედის“ გავლისას მასწავლებელმა მწყერაძემ კარგად გამოიყენა ნაწარმოების იღეა აღმზრდელობითი თვალსაზრისით. მასწავლებელმა ქართველიშვილმა მე-11 კლასში ა. ყაზბეგის შემოქმედების განხილვისას („ხევისბერი გოჩა“) ლიტერატურულ წრეში დამუშავა მოსწავლეებთან საკითხი „შვილი ოჯ სამშობლო“ და ხანგაშით აღნიშნა სამშობლოსადმი უმშიკვლო სიყვარულის, ერთგულებისა და თავდადების გრძნობა, რომელიც ყველა საბჭოთა მოქალაქეს ახასიათებს.

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დარგში კარგად მუშაობდა ქ. ქუთაისის მოზრდილთა საშუალო სკოლის მასწავლებელი ელ. ლოროთქიფანიძე. მასწავლებელი ლოროთქიფანიძე ისსტემატურად ითხოვდა მოსწავლეებისაგან ენის სიწმინდეს, მტკიცედ იცავდა წერითი მუშაობის ნორმებსა და სახეებს. მას გამოშუავებული ჰქონდა მოსწავლეებში ზეპირი და წერითი მეტყველების სწორი ჩვევები. სწავლების პროცესში იგი მთავარ უზრადლებას აქცევდა მხატვრულ კითხვას, მოთხოვნის სურათებად გადმოცემას, ლიტერატურული მასალის გააზრებას. ის სათანადო

ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვასაც. ასეთი
მუშაობის შედეგად მოსწავლეები წერდნენ და მეტყველებდნენ
სწორად და თავისუფლად. მათი ცოდნის დონე ამ საგანმანათლებლი
მაოდ მაღალი იყო.

რუსული ენის სწავლების დარგში ნაყოფიერად მუშაობდა ბა-
თუმის მოზრდილთა № 24 საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. მო-
გილევსკი (იგივე სკოლის დირექტორი). იგი საგნის მცოდნე და
გამოცდილი მასწავლებელია. საგნის სწავლებას ის მოხერხებუ-
ლად უკავშირებდა საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის აღზრდას.
ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ლ. ტოლსტიოს, მ. გორკის, ვ. მა-
იაკოვსკის, ა. ფადეევის, ნ. ოსტროვსკის შემოქმედების შესწავ-
ლისას მასწავლებელი ამახვილებდა მოსწავლეთა ყურადღებას საბ-
ჭოთა ახალგაზრდობის წინაშე მდგომი ამოცანების საკითხებზე.
მასწავლებელ მოგილევსკის გულმოდგინე მუშაობის შედეგად ამ
სკოლის მოსწავლეებმა გამოცდებზე საგნის მტკიცე ცოდნა და
წერითი მეტყველების მაღალი დონე გამოამჟღვნეს.

რუსული ენის სწავლების დარგში ასევე კარგად მუშაობდნენ
თელავის მოზრდილთა სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებლები თ. ბრეგვაძე და თ. თურქესტანიშვილი, ქ. ქუთა-
ისის მოზრდილთა საშუალო სკოლის დამსახურებული მასწავლე-
ბელი ი. არსენიშვილი და სხვ.

ნაყოფიერად მუშაობდა მათემატიკის სწავლების დარგში ქ. ბა-
თუმის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ფიზიკა-მათემატი-
კის მასწავლებელი ნ. ლაპიგინა. იგი საგნის მცოდნე და დაუზიარე-
ბელი მასწავლებელია, სისტემატურად ეხმარებოდა მოსწავლეებს.
მისი გაკვეთილები ყოველთვის მაღალხარისხოვანი იყო. გულმოდ-
გინე მუშაობის შედეგად მიღწეულია მოსწავლეთა ცოდნის მაღალი
დონე. სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარებისას გეომეტრია-
ტრიგონომეტრიაში მოსწავლეებმა მაღალი შეფასება მიიღეს: არც-
ერთ მოსწავლეს ნიშან „3“-ზე არ უპასუხნია, ყველამ დამსახურე-
ბული „4“ და „5“ მიიღო. ასევე კარგად მუშაობდნენ ქ. ქუთაისის
მოზრდილთა საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლები გ-
ელბაქიძე, ც. ნუცუბიძე, აგრეთვე რიგი სხვა სკოლების მასწავლებ-
ლები.

ნაყოფიერად მუშაობდა ფიზიკის სწავლების დარგში ქ. ბათუმის
მოზრდილთა № 20 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ა.
გოთუა. გულმოდგინე შრომით მან მიაღწია მოსწავლეთა ცოდნის
მაღალ დონეს. მისი ენერგიული მუშაობით სკოლისათვის დამზა-
დებული იყო 45-მდე თვითნაკეთი ხელსაწყო.

ისტორიის სწავლების დარგში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს ქ. ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის № 2 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლებმა გ. მაკავარიანმა (იგივე სკოლის რექტორი) და თ. ლანჩხავაძ. ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს აღნიშნული მასწავლებლები ყოველთვის მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირით ხსნიდნენ, ამასთან ფართოდ იყენებდნენ სწავლებაში თვალსაჩინოებას. ისტორიულ ფაქტებისა და მოვლენების განხილვას ისინი უკავშირებდნენ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ კითარებას. თავის საგანს ეს მასწავლებლები ასწავლიდნენ მეცნიერული სიზუსტით და მეთოდური გამართულობით. ამგვარი მუშაობის შედეგად მოსწავლეები კარგად იყვნენ დაუფლებული გავლილ მასალას, ზუსტად იცოდნენ ისტორიული თარიღები, ფაქტები და მოვლენები. მათ შეეძლოთ ისტორიულ პირთა სწორი შეფასება და დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა.

ქიმია-ბუნებისმეტყველების სწავლებაში კარგ შედეგებს მიაღწიეს ქ. ქუთაისის მოზრდილთა საშუალო სკოლის მასწავლებლებმა ო. დევდარიანმა და ა. ასათიანმა. ისინი ზედმიწევნით დაუფლებული არიან საგნის მეცნიერულ მხარეს და მისი სწავლების მეთოდიკას. გაკვეთილის მასალას ისინი ყოველთვის უკავშირებდნენ თანადროულობას. ასევე ნაყოფიერად მუშაობდა ქ. ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის № 3 საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელი გ. ასათიანი, რომელიც დაუფლებულია საგნის სწავლების მეთოდებსა და ხერხებს. მისი ოხრობა გაკვეთილზე ყოველთვის კონკრეტული იყო, ამასთან იგი მაქსიმალურად იყენებდა თვალსაჩინოებას. სწავლების პროცესში მასწავლებელი ასათიანი ფართოდ აშექებდა საბჭოთა ბიოლოგიური მეცნიერების წარმატებებს, მიურინისა და ლისენჯის მიღწევებს.

გეოგრაფიის სწავლების დარგში კარგი მიღწევები ჰქონდათ ქ. ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის №1 ჩამარჯვიანი სკოლის მასწავლებელს თ. თევდორაძეს და მოზრდილთა საშუალო სკოლის მასწავლებელს თ. სვანიძეს. აღნიშნული მასწავლებლები მაქსიმალურად იყენებდნენ სწავლებაში თვალსაჩინოებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ რუკაზე სწორ ორიენტირებას. მასწავლებლები თ. თევდორაძე და თ. სვანიძე გეოგრაფიის სწავლებას მჭიდროდ უკავშირებდნენ თანადროულობას და საგნის სწავლებაში შეჰქონდათ პატრიოტული ორხდის მომენტები.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდათ მოპოვებული ქ. თბილისის რიგი სკოლების, აგრეთვე წულუკიძის, გორის, სამტრედიის, ორჯონიშვილის და სხვა

რაიონების მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების
მასწავლებლებს.

მუშა-ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მოსწავლებული
შორის ბევრი იყო მოწინავე როგორც სწავლაში, ისე წარმოებაში
თუ საკოლმეურნეო მუშაობაში. მაგალითად, გორის მუშა ახალ-
გაზრდობის საშუალო სკოლის მოსწავლე შოთა დვალიშვილი—
გორის საკონსერვო ქარხნის მუშა იყო. მან წელს დაამთავრა სკო-
ლა და წარმატებით ჩააბარა გამოცდები სიმწიფის ატესტატზე.
სკოლაში იგი „ოთხებზე“ და „ხუთებზე“ სწავლობდა, ხოლო ქარ-
ხნაში 120—130 პროცენტით ასრულებდა თავის საწარმოო დავა-
ლებებს. ქარხნის აღმინისტრაციამ შ. დვალიშვილი გაგზავნა ქ.
ოდესის გემოკვების საინჟინრო ინსტიტუტში სწავლის გასაგრძე-
ლებლად.

წითელწყაროს მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის კომკავ-
შირელი მოსწავლე იოსებ მოსაშვილი „საქნავთის“ მექანიკური
სახელოსნოს მუშაა. მიმღინარე წლის პირველი კვარტალის საწარ-
მოო გეგმა მან 152 პროცენტით შეასრულა. ამავე სკოლის მოსწავ-
ლე შოთა ანანიაშვილმა გასულ წელს კოლმეურნეობაში გამოიმუ-
შავა 300 შრომადლე, მოსწავლე ვასილ ალულიშვილმა—258 შრომა-
დლე, მოსწავლე ზალვა პაპაშვილმა—240 შრომადლე. აღნიშნულმა
მოსწავლეებმა კარგი წარმატება გამოიჩინეს სწავლაში და გამოცდები
ყველა საგანში „ოთხებზე“ და „ხუთებზე“ ჩააბარეს.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლები მომზადებული
შეხვდნენ გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებს. სახალხო განა-
თლების განყოფილებებმა გამოცდების წინ მოაწყვეს სკოლების
დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების თათბირები,
სადაც განხილული იყო საკითხი გამოცდების ორგანიზებულად
ჩატარების შესახებ. განათლების სამინისტროს ინსტრუქცია გამო-
ცდების ჩატარების შესახებ, საგამოცდო ბილეთები და სხვ., დრო-
ულად იყო დაყვანილი თითოეულ სკოლამდე. ყველა სკოლაში დრო-
ულად იყო შედგენილი საგამოცდო ცხრილი და გამოკრული თვალ-
საჩინო ადგილას. მასწავლებლები ატარებდნენ კონსულტაციებს მოს-
წავლეთა დასამარებლად. გამოცდების პერიოდში, ისე როგორც
სასწავლო წლის განმავლობაში, სახალხო განათლების განყოფილე-
ბები სკოლებს უწევდნენ კონტროლსა და დახმარებას.

რესპუბლიკის მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში
გამოცდების დაწყების წინ ითვლებოდა სულ 7347 მოსწავლე.
ამათვან გამოცდების შედეგად გადაყვანილია შემდეგ კლასში ან
დაამთავრა 4812 მოსწავლემ, დატოვებულია იმავე კლასებში 978

მოსწავლე, საშემოდგომო გამოცდები მიეცა 1557 მოსწავლება! აღნიშნულ სკოლებში მე-11 კლასი დაამთავრა 1289 კაცმა. საქართველოს მთავრობის მიერ მიეცა 1289 კაცმა.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მრავალშა მოსწავლემ გამოცდებზე გამოამდევნა ლრმა და საფუძვლიანი ცოდნა. 1289 მოსწავლიდან, რომლებმაც 1948—1949 სასწავლო წლის ბოლოს დაამთავრეს მე-11 კლასი, წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის დაჯილდოებულია ოქროს მე-დღით 29 კაცი, ხოლო ვერცხლის მედღით—30 კაცი.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მიერ წარმატებათა მოპოვების საქმეში გარკვეული როლი ითამაშა იმ კონკრეტულმა დახმარებამ და ხელშეწყობამ, რასაც ამ სკოლებს უშევდნენ ადგილებზე საბჭოთა, პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები, საწარმო-დაწესებულებები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები.

მაგალითად, წითელწყაროში „საქნავთის“ მექანიკური სახელოსნოს დირექტია (დირექტორი ა. ნასყიდაშვილი) და პარტორგანიზაცია, აგრეთვე ალპკ წითელწყაროს რაიკომი (რაიკომის მდიგანი შ. მოლაშვილი) პრაქტიკულ დახმარებას უშევდნენ ადგილობრივ მუშა ახალგაზრდობის სკოლას. სოფ. ჯაფარიძის ჩარკვიანის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ყოჩიაშვილი და წითელწყაროს მტს-ის დირექტორი ა. ბიწაძე ყოველმხრივად უწყობდნენ ხელს აღნიშნულ სკოლას მისი მატერიალური პირობების გაუმჯობესების საქმეში. ამასთან ერთად მათ შორეული სამუშაოდან მახლობელ სამუშაოზე გადმოიყვანეს სკოლის მოსწავლეები, დამის ცვლებში მომუშავენი გადაიყვანეს დილის სამუშაოზე და შეუქმნეს მოსწავლეებს მეცადინეობაზე რეგულარულად დასწრების შესაძლებლობა.

ქმედით დახმარებას უშევდა ბათუმის № 23 მოზრდილთა საშუალო სკოლას, მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლას ბათუმის გემოშემკეთებელი ქარხნის აღმინისტრაცია, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები. ამ დახმარების შედეგად სკოლა უზრუნველყოფილი იყო შესაფერისი საქლასო ოთახებით, გათბობა-განათებით, სასწავლო მოწყობილობით.

მუშა ახალგაზრდობის სკოლისადმი დახმარების საქმეში გამოირჩეოდნენ აგრეთვე ენგურის ქაღალდებობინატის დირექტია (დირექტორი ნ. ჯანაშია) და პარტორგანიზაცია (პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ესართია). სასწავლო წლის განმავლობაში კომბინატორი არსებული მუშა ახალგაზრდობის სკოლა უზრუნველყოფილი

იყო გათბობა-განათებით. ქარხნის ადმინისტრაციამ გამოყო სკოლი-
სათვის 20.000 ბან. ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების შესაძლებად
და 5.000 ბან. სკოლის ბიბლიოთეკისათვის წიგნების შესაძლებად

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებს საქმიან დახ-
მარებას უწევდნენ აგრეთვე გორის საკონსერვო ქარხნის ადმინის-
ტრაცია (დირექტორი პ. საყვარელიძე). ადგილობრივი საბჭოთა
მეურნეობის დირექტორი (დირექტორი ს. ზარაშენიძე), ხაშურის
ალკე რაიკომი (რაიკომის მდივანი ლ. ლაცაბიძე), წულუკიძის
აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის დირექტორი (დირექტორი ვ. მო-
ნიავა), ქ. თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის, ავტოსა-
რემონტო ქარხნის, ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის, ქ. ქუთაი-
სის აბრეშუმის კომბინატის, ლიტოპონის ქარხნის, მაუდის ფაბ-
რიკის, ავჭალის „ცენტროლიტის“ ქარხნის, „საქართველოს ჩაის“
ავჭალის გადამწონი ფაბრიკის და მთელი რიგი სხვა საწარმო-და-
წესებულებების ხელმძღვანელები.

ამასთანივე ერთად სახალხო განათლების ადგილობრივი ცალ-
კეული ორგანოებისა და მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა
ზოგიერთი სკოლის მუშაობას ახასიათებდა არსებითი ხასიათის
ნაკლოვანებები. მაგალითად, სახალხო განათლების ადგილობრივმა
ორგანოებმა ყველგან ვერ შესძლეს ალრიცხული კონტინგენტის
სწავლაში ჩაბმა. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში, კერძოდ ქ. სტა-
ლინირში ჩატარებულმა აღრიცხვამ ვერ გამოავლინა ახალგაზრდო-
ბის მთელი ის კონტინგენტი, რომელიც ჩაბმული უნდა ყოფილი-
ყო სწავლაში. თუმცა საკითხი კონტინგენტის გამოვლინების შე-
სახებ განიხილეს ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა და
სათანადო საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაავალეს
სწავლაში ჩასაბმელი კონტინგენტის გამოვლინება და ჩაბმა. მაინც
რიგი საწარმოების ხელმძღვანელებმა, როგორიცაა ავტოსარე-
მონტო ქარხანა, ხეტყის კომბინატი, კავშირგაბმულობის ადგი-
ლობრივი განყოფილება და სხვ., არ მიიღეს ამ მიმართულებით
საჭირო ზომები და ახალგაზრდობის ნაწილი სკოლის გარედ
დარჩა.

ზოგიერთ რაიონში ვერ შესძლეს მოსწავლეთა პირველდაწყებითი
კონტინგენტის შენარჩუნება. რიგ სკოლებში მოსწავლეთა კონტინ-
გენტი სასწავლო წლის დასაწყისში და სასწავლო წლის ბოლოს
მნიშვნელოვან სხვაობას იძლევა. შაგალითად, აფხაზეთის ასსრ მუშა
ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში წლის დასაწყისში
იყო 556 მოსწავლე, წლის ბოლოს კი—423 მოსწავლე, სამხრეთ-

ოსეთის აკტ. ოლქში შესაბამისად 240 და 195, ქ. თბილისში—
2437 და 2147, ქ. ქუთაისში—386 და 263.

სასწავლო წლის განმავლობაში მუშა ახალგაზრდობისა და მოზღვა-
დილთა სკოლებს ჩამოშორდა 1304 მოსწავლე. რაც შემთხვევაში
მოსწავლეები ჩამოშორდნენ სკოლებს არასაბატიო მიზეზით. იყო
აგრეთვე შემთხვევებიც, როდესაც წარმოებაში მოსწავლეთა მუშა-
ობის პირობების მოუწესრიგებლობის გამო ზოგიერთი მოსწავლე
იძულებული ხდებოდა სწავლისათვის თავი მიენებებინა. ქ. ფოთის-
მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლიდან სასწავლო წლის განმავ-
ლობაში გავიდა 118 მოსწავლე, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ
ზოგიერთი ქარხნის ადმინისტრაციამ ხელი არ შეუწყო მოსწავლეებს-
და არ შეუქმნა მათ მეცადინეობაზე რეგულარულად დასწრების
პირობები: მოსწავლეებს ხშირად ტოვებდნენ საზეგანაკვეთო სამუ-
შაოზე, არ გადაყავდათ ისინი დილის ცვლაში, არ ათავისუფლებ-
დნენ მათ გამოცდების პერიოდში შვებულების ანგარიშში და სხვ.
მაგალითად, მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის დირექტორმა შ. ვასაძემ
არა თუ კუთვნილი შვებულება არ მისცა გამოცდების პერიოდში
მუშა ახალგაზრდობის მე-11 კლასის მოსწავლეს სტასურლოვას (თუმ-
ცა შვებულების მიცემა კანონით გათვალისწინებულია), არამედ რუ-
სულ ენაში გამოცდის დღეს არც კი გაათავისუფლა იგი სამუშაო-
დან. საქირო შეიქმნა ხელმძღვანელი ორგანიზაციების ჩარევა, რომ
ეს საკითხი მოწესრიგებულიყო. ამავე რაიონის სოფ. შემოქმედის-
კოლმეურნეობის თავმჯდომარებ ვ. დარჩიამ მოზრდილთა სკოლის-
დირექტორისაგან მოითხოვა კოლმეურნე მოსწავლის გვარჯალაძის
სკოლიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლება, რასაც ის მუშახელის-
სიმცირით ასაბუთებდა.

მუშა ახალგაზრდობის სკოლისადმი უყურადღებობას იჩენდა ამბ-
სესიაშვილი. მან სრულებით მოხსნა სამუშაოდან აღნიშნული
მოსწავლე. ზოგიერთ სკოლაში აღვილი ჰქონდა გაკვეთილების-
გაცდენის შემთხვევებს. მაგალითად, ქვეზანის მუშა ახალგაზრდო-
ბის საშუალო და გუდაუთის მოზრდილთა საშუალო სკოლებში
ზოგიერთი მოსწავლე ხშირად აცდენდა გაკვეთილებს, რაც იმის-
შედეგი იყო, რომ სათანადო საწარმოებმა ვერ უზრუნველჰყვეს-
მოსწავლე მუშების დილის ცვლაში გადაყვანა.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მუშაობას სა-
სწავლო წლის განმავლობაში საგრძნობლად აფერხებდა აგრეთვე
ის გარემოება, რომ ამ სკოლების მატერიალური ბაზა არ უზრუნ-
ველჲყოფდა მათი მუშაობის სათანადო გაშლას. მუშა ახალგაზრ-

დობის სკოლების უზრუნველყოფა ინვენტარით, მოწყობილობით
და სხვ., მთავრობის სათანადო დაღენილებით დაკისრებული ჭერნ-
და საწარმოთა აღმინისტრაციის. მაგრამ საწარმოთა ხელშეღვა-
ნელების ნაწილი უყურადღებოდ ეკიდებოდა სკოლებს. ისინი არ
ზრუნავდნენ იმაზე, რომ უზრუნველყოფა სკოლები ბინით, ინვენ-
ტარით, საკლასო და სასწავლო მოწყობილობით. მაგალითად, მახა-
რაძის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა მოთავსებული იყო
ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის პირველ სართულში. ეს ბინა სა-
სკოლო მუშაობისათვის სრულებით შეუფერებელია.

ზოგ შემთხვევაში მუშა ახალგაზრდობის ან მოზრდილთა საშუალო
სკოლა მოთავსებული იყო რვაწლიანი მასობრივი სკოლების შენო-
ბებში, რომელთაც არ გააჩნდათ ფინიკური და ქიმიური კაბინე-
ტები და სხვა საჭირო ხელსაწყოები. ასეთ მდგომარეობაში იმყო-
ფებოდნენ მცხეთის რაიონის სოფ. ძალისის მოზრდილთა სკოლა,
თეთრიწყაროს რაიონის სოფ. წინწყაროს და დიდი-თონეთის მო-
ზრდილთა სკოლები.

ზოგიერთ სკოლაში იგრძნობოდა სახელმძღვანელოებისა და სას-
წავლო ნივთების მწვავე ნაკლებობა. მაგალითად, ზუგდიდის რაი-
ონში ენგურის ქალალდეკომინატთან არსებული მუშა ახალგაზრდო-
ბის საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. საბეკია) ქართულ სექტორზე
მოსწავლები მხოლოდ 50 პროცენტით იყვნენ უზრუნველყოფილი
სახელმძღვანელოებით; უარესი მდგომარეობა იყო რუსულ სექტორზე.
ყვარლის მოზრდილთა საშუალო სკოლაში მე-11 კლასში ქართული
ლიტერატურის სახელმძღვანელო 16 მოსწავლიდან მხოლოდ 4
მოსწავლეს ჰქონდა. სახელმძღვანელოების მწვავე ნაკლებობას განი-
ცდიდნენ აგრეთვე ზუგდიდის მოზრდილთა საშუალო სკოლაში
(დირექტორი ვ. შონია), სტალინის მოზრდილთა საშუალო
სკოლაში (დირექტორი ვ. ქასრაძე). სახელმძღვანელოების ნაკლე-
ბობა აღნიშნულ სკოლებში გამოწვეული ზოგ იმით, რომ სათანადო
რაიონების განათლების განყოფილებებს და სკოლების დირექტო-
რებს არ გამოუჩენიათ საჭირო მზრუნველობა, რომ ეს სკოლები
სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით დროულად მოემა-
რაგებინათ მასობრივი სკოლების თანაბრად.

ცალკეულ შემთხვევებში სკოლები ცუდ პირობებში იყვნენ გათ-
ბობის ან განათლების უქონლობით. მაგალითად, ქ. ქუთაისის მუშა
ახალგაზრდობის № 1 რვაწლიანი სკოლის შენობა მთელი ზამთრის
პერიოდში არ თბებოდა, რაც სასწავლო მუშაობის ნორმალურ
მსვლელობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა და ხშირი იყო
მეცადინეობის გაცდენები და სხვ. ტყიბულის მუშა ახალგაზრდო-

ბის საშუალო სკოლა, რომელიც ქვანახშირის ტრესტთან არსებობს და ტრესტის მუშებს უწევს მომსახურებას, სათბობის უქონლობის გამო დიდ დაბრკოლებებს განიცდიდა მუშაობაში. სამტრედის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მე-5 კლასში შემოწმების დღეს განათება გაკვეთილზე არასაქმაო იყო.

ყველგან როდი ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ კარგად და მოფიქრებულად შედგენილი სამუშაო გეგმა თვალსაჩინო მაორგანიზებელ როლს თამაშობს პრაქტიკულ მუშაობაში. მაგალითად, ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 12 საშუალო სკოლაში (დირექტორი პ. ვეფხვაძე) სასწავლო-ოლმზრდელობითი მუშაობის გეგმა არ იყო გააზრებულად. შედგენილი, საკითხები ზოგადად იყო ფორმულირებული, ხოლო ლონისძიებები არ იყო კონკრეტულად ჩამოყალიბებული. ასევე არასაქმაოდ მოფიქრებულად იყო შედგენილი ცალკეული სასწავლო დისციპლინების წლიური კალენდარული გეგმები. საერთოდ ამ სკოლაში მუშაობა არ იყო დაყენებული სათანადო სიმაღლეზე.

ზოგიერთ სკოლაში სერიოზულად არ ეკიდებოდნენ სასკოლო დოკუმენტების სათანადო შედგენისა და გაფორმების საკითხებს. მაგალითად, სტალინირის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში გაკვეთილების ცხრილი წესიერად არ იყო შედგენილი, კერძოდ ცხრილში აღნიშნული იყო „მათემატიკა“ და შეუძლებელი იყო დადგენა, თუ როდის უნდა ყოფილიყო არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია. ენგურის ქალალდკომბინატთან (ზუგდიდის რაიონში) არსებულ მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში საკლასო უურნალებს არაწესიერად აწარმოებდნენ: არც გაკვეთილებზე დამუშავებული მასალა, არც მოსწავლეთა ცოდნის შეფასება (ნიშნები) უურნალებში აღნიშნული არ იყო. წლიური და კალენდარული გეგმები უხარისხოდ იყო შედგენილი. სამტრედიის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში (დირექტორი დ. შენგელია) მოსწავლეთა პირადი საქმეები გაუფორმებელი იყო, დოკუმენტები არ იყო კარგად შექრული, აკადემიური წარმატების ნიშნები პირად საქმეებში არ იყო შეტანილი და ა. შ.

სუსტად მუშაობდა ქ. ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის № 1 რვაწლიანი სკოლის პედაგვო, რომლის სხდომები იშვიათად ეწყობოდა და ამ სხდომებზე საგნების სწავლების მდგომარეობის საკითხი არც ერთხელ არ დასმულა.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა ყველა სკოლაში არ ითვალისწინებდნენ მეთოდური მუშაობის აუცილებლობას. მაგალითად, ქ. ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის № 1 რვაწლიან სკო-

ლაში არადამაქმაყოფილებლად იყო დაყენებული შეთოდური მუშაობა; ბათუმის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში (დოკუმენტი რექტორი ო. გოგიტიძე) ქართულ ენასა და ლიტერატურაში თავისი მასწავლებელი იყო, მაგრამ საგნობრივი კომისია ჩამოყალიბებული არ ყოფილა.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ზოგიერთი მასწავლებელი კეთილსინდისიერად არ ეკიდებოდა თავისი პედაგოგიური მოვალეობის შესრულებას და საგნის სწავლებაში საქმაო გულმონდგინეობას არ იჩენდა. მაგალითად, ცუდად იყო დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სტალინიზის მოზრდილთა საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. კასრაძე). მასწავლებელ ვ. კახნიაშვილის გაკვეთილზე შემოწმების დღეს მე-8 კლასში მოსწავლეთა საგრძნობმა ნაწილმა არ იცოდა გასამეორებელი მასალა (იმჯერად მასწავლებელი გამეორებას აწარმოებდა). მასწავლებელმა კლასს გამოკითხა პროგრამით გაუთვალისწინებელი (მე-8 კლასში) მასალა—რომანტიზმი, რაც ცხადია არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა. უფერულად, გაუმართავი გამოთქმებით, უხევი შეცდომებით ჩაატარა იმავე მასწავლებელმა გაკვეთილი მე-10 კლასში. მან გადასცა კლასს ვ. ჰაინრიხის ბიოგრაფია, მაგრამ გაკვეთილი მომზადებული არ ჰქონდა და ხშირად უშევებდა ენობრივ, ფაქტურ და სხვა ხასიათის შეცდომებს. ამ სკოლაში მოუწესრიგებელი იყო წერითი მუშაობის საკითხები. მასწავლებელ ი. გელაძეს შემოწმების დღემდე (თებერვლის დამლევს) ჩატარებული ჰქონდა მე-5 კლასში 6 საკონტროლო წერა, გეგმით კი უნდა ჩაეტარებია 20-ჯერ. მასწავლებელ თ. ასანიძეს ჩატარებული ჰქონდა მე-6 კლასში 7 საკონტროლო წერა ნაცვლად 12-ისა და ა.შ. მოსწავლები ცუდი ხელით წერდნენ, თემები ზერელედ იყო გაშლილი, ნამუშევრებში დაშვებული იყო მრავალი შეცდომა. გეგმიანი წერის ჩვევა სკოლაში დანერგილი არ იყო. საგულისხმოა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხი პედსაბჭოს სხდომაზე არც ერთხელ არ ყოფილა განხილული.

საჭირო მონდომება და ენერგია არ გამოუჩენია სწავლებაში ქ. ბათუმის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელს 6. მოსკალენკოს. მან ვერ შესძლო მუშა ახალგაზრდობის სკოლის თავისებურებათა გათვალისწინება. იგი არ არის დაუფლებული მოზრდილებთან მუშაობის მეთოდიკას, რის გამო მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალი იყო. მე-5—7 კლასებში, სადაც მოსკალენკო ასწავლიდა, გამოცდებმა ცუდი მაჩვენებლები

გამოავლინა: მე-5 კლასის 17 მოსწავლიდან გამოცდებზე დაშვებული იყო მხოლოდ 8 მოსწავლე, ამათგან საშმა ნიშანი „2“ მიღწეული სტალინირის მოზრდილთა საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი მ. შაფონ შვილი დაუდევრობას იჩენდა საგნის სწავლა-ბისადმი, მოუმზადებელი შედილდა გაკვეთილზე, არ აღვენდა გაკვეთილის გეგმას, სავალდებულო ნორმით არ ატარებდა წერით მუშაობას და ა. შ.

ფიზიკის სწავლება სუსტად სწარმოებდა მაიაკოვსკის მოზრდილთა საშუალო სკოლაში. მასწავლებელი ა. ბალანჩივაძე (იგივე სკოლის დირექტორი) ვერ იჩენდა საგნის ცოდნას. შემოწმების დღეს გაკვეთილზე მე-9 კლასში გავლილ მასალის განმეორებისას მოსწავლებმა ვერ გამოიჩინეს საქმაო ცოდნა. მოსწავლეები უმრავლეს შემოხვევაში მცდარ განმარტებებს იძლეოდნენ, მეტად განუენებული და წიგნური ენით. მოსწავლეებს ცდები არ უნახავთ, ფიზიკის კანონთა გამოყენებითი მნიშვნელობა მათ არ იცოდნენ, ვერ უკავშირებდნენ მათ ბუნების მოვლენებს, წარმოების ტექნიკას და ყოველდღიური ცხოვრების მაგალითებს.

ცუდად მუშაობდა ქ. ბათუმის მოზრდილთა № 20 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ი. გოგიტიძე. იგი საქმოდ დაუფლებული არ იყო საგანს, მისი სწავლების მეთოდებს და ამიტომ ვერ შესძლო მე-9—11 კლასებში ისტორიის სწავლების საჭირო სიმაღლეზე დაყენება. საერთოდ მასწავლებელი გოგიტიძე არ არის დაუფლებული მოზრდილებთან მუშაობის ხერხებს. მასწავლებლის სუსტი მუშაობის შედეგად მოსწავლეთა ცოდნა ისტორიაში ზერელი და არასაფუძვლიანი იყო.

ქიმია-ბუნებისმეტყველების სწავლების დარგში ცუდი მუშაობის ნიმუშს წარმოადგენს ქ. ბათუმის № 24 მოზრდილთა საშუალო სკოლის მასწავლებელი ს. ხაჩატუროვა. მასწავლებელ ხაჩატუროვას არა აქვს საქმაო მომზადება და გამოცდილება. მის მიერ ახსნილი გაკვეთილი სახელმძღვანელოს ტექსტის უფერული და დაუსაბუთებელი გამორჩება იყო. კლასში მას არ უგარეოდა დისკიპლინა, ხოლო მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში იჩენდა ლიბერალობას. მიჩრინული ბიოლოგიის მიღწევების პოპულარიზაციისათვის მასწავლებელ ხაჩატუროვას არაფერი გაუკეთებდია.

სათანადო სიმაღლეზე არ იდგა აგრეთვე ბუნებისმეტყველების სწავლება ენგურის ქალალდეკომბინატორთან არსებულ მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში. მე-5 კლასში ბოტანიკის გაკვეთილზე მასწავლებელი ბ. ნოდია საჭირო ახსნა-განმარტებას ვერ აძლევდა მოსწავლეებს. გაკვეთილის თემა „მყნობა“ მასწავლებელმა კლასს

არადამაჯერებლად აუხსნა. მოსწავლეებმა არ იცოდნენ მცენარის ღეროს აღნაგობა (ლაფანი, შერქანი), უამისოდ კი მყნობის ტექნიკისა გავება შეუძლებელია. მასწავლებელი თითებით უხსნიდა კლასის მყნობის ტექნიკას, რაც მოსწავლეთათვის გაუგებარი იყო.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების განყოფილება სუსტად ხელმძღვანელობდა ამ სკოლებს და საქამაოდ არ ზრუნავდა მათი მდგომარეობისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სახალხო განათლების საოლქო, საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა:

ა) დროულად უზრუნველპყონ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა იმ კონტინგენტების აღრიცხვა, რომლებიც ჩაბმული იქნებიან სწავლაში, რისთვისაც უშუალო კავშირი იქონიონ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, კომეკაშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, საწარმო-დაწესებულებებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან;

ბ) უზრუნველპყონ იმ სკოლებისა და კლასების გახსნა და დაკომპლექტება, რაც გათვალისწინებულია მოცემული გეგმით;

გ) შეურჩიონ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა საშუალო სკოლებს სათანადოდ მოწყობილი სასკოლო შენობები და მისცენ მათ შესაძლებლობა შეუფერხებლად ისარგებლონ მასობრივი სკოლების სასწავლო მოწყობილობით, კაბინეტებით, ბიბლიოთეკებით და სხვა;

დ) უზრუნველპყონ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლები გათბობით და განათებით, სათბობით მომარაგების საქმეში ჩააბან ის საწარმოები და დაწესებულებები, რომელთა მუშები საც სკოლა მომსახურებას უწევს.

ე) სახალხო განათლების განყოფილების ფონდიდან მოამარაგონ მასობრივი სკოლების თანაბრად მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლები სახელმძღვანელოებით, რვეულებით და სასწავლო ნივთებით, აგრეთვე საქალასო უურნალებით და სხვა დოკუმენტებით.

ვ) სასწავლო წლის დაწებამდე გადასინჯონ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლების შემადგენლობა და დასვან საკითხი იმ დირექტორებისა და მასწავლებლების სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშაკებით შეცვლის შესახებ, რომლებმაც აღლო ვერ აუღეს მოზრდილთა

სკოლაში მუშაობის თავისებურებას და ვერ გამოიჩინეს ნაყოფიერი მუშაობის უნარი.

ამასთან ერთად ახალი სასწავლო წლიდან ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლებად წამოაყენონ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში მასობრივი სკოლების მასწავლებლები შეთავსებით.

ზ) ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციებში დასწან საქითხი იმის შესახებ, რომ საჭარმოო-დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა შეუქმნან მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მოსწავლეებს პირობები მეცადინეობაზე რეგულარულად დასწრებისათვის (მოსწავლე მუშების გადაყვანა დილის ცვლებში, მათი გათავისუფლება საქევანაკვეთო სამუშაოდან, მოსწავლე კოლმეურნეთა შორეულ სამუშაოზე გაგზავნის, იღვვეთა და სხვ.).

თ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებზე, სასწავლო წლის პერიოდში გაუწიონ კონტროლი და სისტემატურად შეამოწმონ ამ სკოლების მდგომარეობა და მუშაობა, შემოწმების საფუძველზე მისცენ სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს საჭირო ორგანიზაციული და მეთოდური ხასიათის მითითებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

2. მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა რეაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა:


ა) წესრიგში მოიყენონ მოსწავლეთა პირადი საქმეები, უზრუნველყონ სასკოლო დოკუმენტაციის სათანადო წარმოება და მოვლა-შენახვა.

ბ) არ დაუშვან სკოლებში აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეების ჩარიცხვა. მასობრივი სკოლებიდან.

მოსწავლეთა სკოლებში მიღებისას იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო ინსტრუქციით (იხ. სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული № 10 1946 წ. გვ. 38). ხოლო მე-11 კლასში მოსწავლეთა მიღება არ დაუშვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარეშე.

გ) დანერგონ სკოლებში გეგმიანი მუშაობა, უზრუნველყონ სკოლის წლიური სასწავლო-აღმზრდელობითი გეგმის, ცალკეული სასწავლო დისციპლინების წლიური კალენდართა გეგმების, კლასის ხელმძღვანელთა მეოთხედური სამუშაო გეგმებს; მუშაობების სამუშაო გეგმების დროულად შედგენა, კონტაქტის სამუშაო და სათანადო წესით დამტკიცება.

2. პრეზული № 8-9.



გეგმების შედგენის საქმეში იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს „მითითებებით სკოლისა და მასწავლებ-
ლის მუშაობის დაგვამება შესახებ“ (1949 წ.).

(დ) სკოლის სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ მუშა ახალ-
გაზრდობისა და მოზრდილთა სკოლაში მუშაობის თავისებურე-
ბანი, ისე რომ ამ სკოლის სამუშაო გეგმები არ წარმოადგენდეს
მასობრივი სკოლის სამუშაო გეგმების დუბლირებას.

(ე) კაბადიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა
მუშაობაზე, სისტემატურად მოისმანონ გაკვეთილები ცველა დისციპ-
ლინაში, მოსმენილი გაკვეთილების საფურველზე მასწავლებელთათვის
მიცემული მითითებები ჩამოყალიბონ კონკრეტულად და გად-
ფორმონ წერილობითი სახით, ძასწავლებელთა მუშაობის შემოწ-
მების წედევები განიხილონ პერსაბჭეს სხდომებზე და დასახონ სა-
ჭირო ღონისძიებანი სასწავლო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესე-
ბისათვეს.

(ვ) ყოველმხრივად გააძლიერონ მეთოდური მუშაობა, ჩამოყალი-
ბონ სკოლაში საგნობრივი კომისიები და მეთოდგაერთოანებები,
მეთოდგაერთონებებსა და საგნობრივ კომისიებში განიხილონ მუშა
ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლაში სწავლების მეთოდიკის
საკითხები.

(ზ) უზრუნველჰყონ საკლსო უურნალების წესიერად წარმოება,
უურნალებში გავლილი ძალასის და მოსწავლეთა ცოლნის შეფა-
სების სისტემატურად აღნიშვნა.

(თ) იქნიონ საწარმოო დაწესებულებებთან, საბჭოთა მეურნე-
ობათან და კოლეჟურნეობებთან მჭიდრო კავშირი და მითი მეშვე-
ობით უზრუნველჰყონ მეცანიერებაზე მსმენელთა რეგულირები
დასწრება.

3. მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მასწავ-
ლებლებამა:

(ა) შეიმუშაონ და იქნიონ თითოეული კლასისა და საგნის
მიხედვით შედგენილი და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცე-
ბული საგნის წლიური კალენდარული გეგმა, რომელშიც კონკრე-
ტულად იღინიშება რა თემ ბი იქნება შესწავლილი წლის განმავ-
ლობაში, რამდენი სათო დაეთმობა თითოეულ თემის და რა ვადაში
იქნება დამუშავებული ეს თემები (დიწყებისა და დამთავრების დრო);
იქნიონ იგრეთვე თითოეული გაკვეთილის ჩატარების გეგმები.

(ბ) წერითი სამეშაოები ჩატარონ დაფგნილი ნორმებისა და
სახეების მიხედვათ, კულტურული გასწორონ წერითი ნამუშევრები
და ივარჯიშონ მოსწავლები შეცდომების გასწორებაზე.

გ) ყოველდღიურად აწარმოონ მუშაობა მოსწავლეთა ზეპირი
და წერითი მეტყველების ამაღლებისათვის და საერთოდ მოსწავლეთა უზრუნველყოფისათვის.
ცკადებიური წარმატების უზრუნველყოფისათვის.

4. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ
(ამხ. ა. გაბისონია) გაუწიოს მუშა ახალგაზრდობისა და მოზრ-
დილთა სკოლებს საქირო ხელმძღვანელობა, კონტროლი და და-
მმარება ახალ სასწავლო წელს ამ სკოლებში სასწავლო-აღმზრდე-
ლობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. ქუპჩიძე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2464

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადგი

1949 წლის 3 აგვისტო.

რუსული ენის კურსების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 23 მაისის № 471 დადგენილების საფუძველზე ჩამოყალიბებული რუსული ენის კურსები ნაყოფიერად მუშაობდნენ გასულ 1948—1949 სასწავლო წელსაც.

მთელი რიგი რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა ენერგიულად მოყიდეს ხელი კურსების ჩამოყალიბებისა და დაკომპლექტების საქმეს და თავიდანვე ნორმალურად წარმართეს მუშაობა.

რიგი რაიონების განათლების განყოფილებებმა მთლიანად შეასრულეს მიცემული გეგმა როგორც ჯგუფების, ისე მსმენელთა რაოდენობის მხრით. მაგალითად, გორის, მახარაძის და სამტრედიის რაიონებში გახსნილი იყო ოთხ-ოთხი ჯგუფი მსმენელთა დაგეგმილი რაოდენობით; ქ. ფოთში გეგმის შესაბამისად ჩიმოყალიბებული იყო 5 ჯგუფი 50 მსმენელით, ბორჯომში—სამი ჯგუფი 40 მსმენელით და ა. შ.

რუსული ენის კურსები უზრუნველყოფილი იყვნენ შესაფერისი შენობებით, გათბობა-განათებით, სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით. კურსებზე სამუშაოდ ჩატმული იყვნენ საუკეთესო მასწავლებლები, რუსული ენის სპეციალისტები. მაგალითად, ზესტაფონის რაიონში რუსული ენის კურსებზე მუშაობდნენ დახელოვნებული მასწავლებლები ვ. გაჩეჩილაძე 15 წლის პედომუშაობის სტაუით, ბ. ჭავიაშვილი—20 წლის პედომუშაობის სტაუით, ბორჯომის რაიონში—საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი მ. ყენია, ზუგდიდის რაიონში—ლენინის ორდენისანი მასწავლებელი ა. ცხავაია 33 წლის პედომუშაობის სტაუით, ლაგოდეხის რაიონში—ო. შაბაზოვა 31 წლის პედომუშაობის სტაუით და სხვ.

აღნიშნული მასწავლებლები განსაკუთრებული გულმოდგინეობით მუშაობდნენ რუსული ენის კურსებზე, მუშაობის-პროცესში ისინი

კურნებდნენ მრავალნაირ მეთოდებს: კითხვას, წერას, თარგმნას, შინაარსის გადმოცემას, გრამატიკულ ეარჯიშს და სხვ. ისინი სასწავლო ტემატურად ივარჯიშებდნენ მსმენელებს წინადადებათ გარჩევაში, ტექსტის კითხვაში, რეგულარული ატარებდნენ წერით მუშაობას, ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებას. მასწავლებელთა ენერგიული მუშაობის შედეგად პროგრამით გათვალისწინებულ მასალას კურსების მსმენელები მტკიცებ ითვისებდნენ და წარმატებით ეფუძნებოდნენ რუსულ სასაუბრო ენას.

რუსული ენის კურსების მსმენელთა უმრავლესობამ გასულ სასწავლო წელს განსაკუთრებული გულმოდგინეობა გამოიჩინა სწავლაში და მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა ოქტომბრის რევოლუციის ენის დაუფლების საქმეში. მოწინავე მსმენელთა შორის განსაკუთრებით გამოიჩინებდნენ სამტრედიის რაიონიდან: რაიონოკურორი ვ. ცეკვავა, რაიონჭრობის გამგე ი. ფრანგიშვილი, ადგილობრივი მრეწველობის დირექტორი გ. კობალეიშვილი, ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე ა. შარაშვილი, ქალთა საშუალო სკოლის დირექტორი ქ. სტურუა; ახალციხის რაიონიდან: 1-ლი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე შ. მიქაელაძე; ზესტაფონის რაიონიდან: ე. ჩხეიძე, ე. ბუხნიკაშვილი, მ. მაღრაძე და სხვ.

კურსების მსმენელებმა გამოიცდებზე გამოივლინეს პროგრამით გათვალისწინებული მასალის საფუძვლიანი ცოდნა და სიტყვათა საკმაო მარაგი. ისინი გამართულად კითხულობდნენ ტექსტს, დალაგებულად გადმოსცემდნენ წაკითხულის შინაარსს, ახერხებდნენ სწორად თარგმნას რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად.

რუსული ენის კურსების მუშაობაზე ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ სახალხო განათლების ადგილობრივი განყოფილებები. მაგალითად, თელავის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება სისტემატურად ამოშებდა კურსების მუშაობის მიმღინარეობას და პრაქტიკულად ეხმარებოდა მას ყოველდღიურ საქმიანობაში. განათლების განყოფილება დროგამოშვებით ატარებდა ჯგუფების მასწავლებელთა მეთოდურ თაობირებს, სადაც მუშავდებოდა ღონისძიებანი სწავლის უკეთესად წარმართვისათვის.

ფოთის სახალხო განათლების განყოფილებამ ქალაქის საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე დასვა რუსული ენის კურსების მუშაობის საკითხი და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიაღწია კურსების მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ქუთაისის რაიონის პარტიაიქომის ბიურომ და რაიოლმასკომის პრეზიდენტმა ასევე მოისმინეს კურსების მუშაობის საყითხი და რამაც ხეს სათანადო ღონისძიებანი. პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ კურსებს გეგმებისას, მახარაძის, ახალციხის, გორის, სამრტედის და რიგი სხვა რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციები.

სასწავლო წლის ბოლოს რუსულ ენის კურსებზე ითვლებოდა ყველა ჯგუფში 1190 მსმენელი. დაშვებული იყო გამოცდებზე (იმ ჯგუფების მსმენელთა გამოკლებით, რომლებსაც ვამოცდები გადაედვა შემდეგისათვის) 1118 მსმენელი, აქედან გადაყვანილია შემდეგი საფეხურის ჯგუფში 605 მსმენელი, გამოშვებულია როგორც კურსდამთავრებული 434 კაცი.

მაგრამ ამასთან ერთად რუსული ენის კურსების მუშაობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს. ყველა რაიონში სათანადო პასუხისმგებლობით როდი მოეკიდნენ ამ საქმეს. ზოგ რაიონში სახალხო განათლების განყოფილებებმა ვერ შესძლეს ჯგუფების ჩამოყალიბება გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით. მაგალითად, ქ. ჭიათურაში, ტყიბულის, წყალტუბოს რაიონებში დაგეგმილი ორ-ორი ჯგუფის ნაცვლად ჩამოყალიბებული იყო თითო ჯგუფი, ხაშურის რაიონში ოთხი ჯგუფის ნაცვლად — ერთი ჯგუფი, ზესტაფინის რაიონში სამი ჯგუფის ნაცვლად — ორი ჯგუფი. ქ. თბილისში გეგმით გათვალისწინებული 45 ჯგუფის ნაცვლად ჩამოყალიბებული იყო 31 ჯგუფი.

ზოგიერთ რაიონში სახალხო განათლების განყოფილებებმა ვერ შეინარჩუნეს არსებული ჯგუფები და სწავლაში ჩაბმული მსმენელთა კონტინგენტი. მაგალითად, ხაშურის რაიონის დაბა სურამში 15 ოქტომბრიდან დაიშალა ერთი ჯგუფი, ასევე დაიშალა თითო ჯგუფი ხობისა და წულუკიძის რაიონებში, სადაც სახალხო განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველყოვეს მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრება. ქ. თბილისის 26 კომისარის რაიონში დაიშალა ორი ჯგუფი მეცადინეობაზე მსმენელთა დაუსწრებლობის გამო.

რიგ რაიონებში ვერ უზრუნველყოვეს სწავლაში ჩაბმული კონტინგენტის მთლიანად შენარჩუნება და ადგილი ჰქონდა მსმენელთა განთესვებს. მაგალითად, ქ. თბილისში სასწავლო წლის დასაწყისში ჯგუფებში ითვლებოდა 360 მსმენელი, წლის ბოლოს კი მსმენელთა რაოდენობა შეადგენდა 324 კაცს, სამტრედიის რაიონში წლის დასაწყისში ითვლებოდა 40 მსმენელი, წლის ბოლოს კი — 28, ბორჯომის რაიონში განთესილია 5 კაცი და ა. შ. დუშეთის რაიონში ორ ჯგუფში ჩაბმული 20 მსმენელიდან მეცადინეობას სასწავლო

წლის 1-ლ ნახევარში ესწრებოდა 8—10 კაცი, 1949 წლის იანვრიდან კი კურსების მუშაობა სრულებით შეწყდა მსმენელთა განკუთხული მიზანის გამო.

ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მეცადინეობაზე მსმენელთა არატეგიული დასწრებას და მსმენელთა დენადობას, რის შედეგად მსმენელთა შემადგენლობა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა.

სასწავლო მუშაობის მიმდინარეობის ერთერთ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ზოგ რაიონში რუსული ენის კურსების ჯუფები ჩამოყალიბდა დაგვიანებით, რამაც შეძლებელი გახდა კურსებზე სასწავლო მუშაობის ნორმალურად წარმართვა. მაგალითად, აფხაზეთის ასსრ ში სასწავლო წლისათვის ცუდად მომზადების გამო მეცადინეობა დაიწყო ქ. სოხუმში არსებულ ჯუფში 15 დეკემბერს, ხოლო გალის რაიონში—15 ოქტომბერს; საგარეჯოს რაიონში მეცადინეობა კურსებზე დაიწყო 1 ოქტომბრიდან, კაჭარეთის რაიონში—15 ნოემბერს, ხოლო ასპინძის რაიონში—დეკემბრის ბოლო რიცხვებში. რუსული ენის კურსებზე დაგვიანებით დაიწყო მუშაობა აგრეთვე ბოლნისის რაიონში, ხოლო ქ. თბილისის სტალინის სახელობრივ რაიონში ზოგიერთ ჯუფში მეცადინეობა დაიწყო მხოლოდ მიმდინარე წლის თვებერვალში.

ზოგიერთ რაიონში, სადაც მეცადინეობა დაგვიანებით დაიწყო და მეცადინეობის ხშირი გაცდენების გამო სასწავლო მუშაობა ნორმალურად არ მიმდინარეობდა, გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები ჩატარდა დაგვიანებით ან გადაიღვა შემდეგისათვის. მაგალითად, აფხაზეთის ასსრ-ში პროგრამით გათვალისწინებული მასალის გავლაში ჩამორჩენის გამო გამოცდები ჩატარდა სოხუმში არსებულ ჯუფში 20 ივნისს, ხოლო გალში არსებულ ჯუფში 30 ივნისს; საგარეჯოს რაიონში გამოცდები ჩატარდა 29 ივნისს. პროგრამით გათვალისწინებული მასალის გავლაში ჩამორჩენის მიზეზით გამოცდები გადაიღვა წყალტუბოს რაიონში ივლისისათვის, ონისა და ცხიკაის რაიონებში—სექტემბრისათვის, ასპინძის რაიონში—ნოემბრისათვის. გამოცდები გადაიღვა აგრეთვე ბოლნისის, ჩხარის, ბორჯომისა და ქუთაისის რაიონებში.

რუსული ენის კურსების მდგომარეობასა და მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი შედეგია იმის, რომ რიგი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა გამოიჩინეს ამ საქმისადმი უყურადებობა, ხოლო განყოფილებათა გამგეებმა, მიუხედავად არაერთი მითითებისა, არ მიიღეს გადამჭრელი ზომები

օմուսատցուս, հռմ Շըսագյերօնսած Քարեմարտած կյանքեցիս մշշառձեց
დա սէթրոնցըլըպոտ կյանքեցիս սատանածո կոնքինցենցիոտ ճացոմ-
քլլյերըօծ, թըցագոնեռօնձանց մըմենյելտա հրցալարուլո ճասթիմինցի-
սասթացլո մշառօնձիս սատանածո սօմօլլեց ճապանեցա, մացալուտագ,
ևռեսմուսա դա գալուս սախալեմ գանատլեցիս գանցողուլցեցի սոյ-
ժագ եղալմէլցանցըլոնձնեն կյանքեցիս մշշառօնձա, ահ յեմարեծոնձնեն
կյանքեցիս օմ ճածրուլցեցատա գաճալունցանո, հռմըլուպ մատ մշշառ-
օնձաս ճյերեցիած. սախալեմ գանատլեցիս օլոնիմնուլո գանցողուլց-
իցի ահ այցերեցին սատանածո որշանինչալույցի սայոտես հրցալուլո
յնուս կյանքեցիսատցուս մշշառօնձիս նորմալուրո პորոնցիս Շյյինուս
Շըսաեց. գանսայուրուցիոտ սոյսիւգ եղալմէլցանցըլոնձնեն հրցալուլո
յնուս կյանքեցիս մշշառօնձաս յ. ժ. ժակուլուսուս սբալոնիս սաხելոնձիս դա
26 յոմուսիրուս սաხելոնձիս հասոնեցիս սախալեմ գանատլեցիս գանցո-
ցուլցեցի. մատ զըր Շըսէլլուս ճացըցմուլո հառուցենոնձոտ չգցուցեցիս
հօմոցալունցի դա մըմենյելտա հածմա ամ չգցուցեցի, ամաստան յրտալ
զըր Շընօնարինցիս հօմոցալունցի չգցուցեցի դա մըմենյելտա կոն-
քինցենցիո. ունուուսուս սածկուս օլմասյումուս პորոնիումըմա գանցալու
թլուս լոյզմինցի մուսմունա հրցալուլո յնուս կյանքեցիս մջցոմարց-
ոնձիսա դա մշշառօնձիս սայոտես դա ճասախ սատանածո լոնուսմոցիանո,
մացրամ սախուրո գարճարուցի ամ ճարցի թլուս ծոլումքը մանց ահ
մոթելահա.

ց ծ հ ժ ա ն ց ի ն ց ի ն :

1. Շինօնարացի մոյցըս ճյեթանցուսա դա օկարուս ասսի գանատլեցիս
սամոնիստրուցի, սախալեմ գանատլեցիս սառլյու, սայալայու դա
հասոննուլ գանցողուլցեցատա գամցըցիս:

ա) միմգոնարյ թլուս 20 օցուստոմք ճամտայրոն հրցալուլո յնուս
Շըսթացլուս մսուրացըլտա ալրուցեա. ճաւզոմինցըյիրոն ցըցմոտ գատ-
ցալուսթինցի չգցուցեցի դա մուցլո մուսամինացի ելու մշշառօնձա օմ-
ցարած Քարմարտոն, հռմ լինրոնցըլըպոտուլ օյնես հրցալուլո յնուս
կյանքեցի չպայլա չգցուցի սթացլուս ճարցի 1 ևյէթյմինցիրս.

թ) հրցալուլո յնուս կյանքեցի ճայումոմինցի մըմենյելտա մըմենյուլո
Շըմացցենոնձուտ, პորցըլ հոցի პարտուուլո դա սածկուտա օյտուցո-
ւան դա մասթացլցեցի օման. ամաստան մըմենյելտա չգցուցի հարու-
չցա աթարմուն մատու ուունուս Շինօնաթարո Շըմոթմինցիս սագուցըլուց-
ի.

ց) ճարուլըլած մուսուն խոմեցի հրցալուլո յնուս կյանքեցիս լինրոն-
ցըլըսայուուլ Շըսագյերօնսո ծնեցիոտ, օնցենտարոտ, սասթացլո մու-
յոնձիլոնձիոտ. սթացլուս ճամուցիստանաց մումարացոն կյանքեցիս
մըմենյուլցի սախելմէլցանցըլուցիոտ, հըյուլցիոտ դա սասթացլո նոց-
ւուցիոտ.

დ) კურსებზე სწავლის დაწყების პირველი დღეებიდანვე დააწე-
სონ სისტემატური კონტროლი სწავლების ხარისხზე და მსმენელთა
მეცადინეობაზე დასწრების საქმეზე, მეცადინეობის გაცდენის შემ-
თხვევებში დაუყოვნებლივ დასკან როგორც სათანადო საწარმო-
დაწესებულებებში, ისე ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებში
საკითხი მეცადინეობის გაცდენების აღსაკვეთად ეფექტური ზო-
მების მიღების შესახებ.

ე) ახლად ჩამოყალიბებული ჯგუფებისათვის შეარჩიონ კვალიფი-
ციური მასწავლებლები, რუსული ენის სპეციალისტები, რომლე-
ბსაც აქვთ სათანადო გამოცდილება და დაუფლებული არიან მოხრ-
დილებთან მუშაობის მეთოდებს, სისტემატურად გაუწიონ მასწავ-
ლებლებს ორგანიზაციულ-მეთოდური დახმარება.

2. აღინიშნოს, რომ რიგი რაიონის და ქალაქის სახალხო განათ-
ლების განყოფილებათა გამგები პირადად არ უწევდნენ ხელმძღვა-
ნელობას რუსული ენის კურსების მუშაობას.

ვავალებ აფხაზეთის ასსრ-ის განათლების მინისტრს, ქ. თბილი-
სის, ქ. ჭიათურის, ხაშურის, წყალტუბოს, ზუგდიდის, ზესტაფონის,
ხობის, წულუეიის, ჩოხატაურის, დუშეთის, საგარეჯოს, მარნე-
ულის, სიღნაღის, ასპინძის, კაჭარეთის, ბოლნისის, თიანეთის,
წალენჯიხის, ჩხარის რაიონების სახალხო განათლების განყოფილე-
ბათა გამგებს უშუალოდ უხელმძღვანელონ რუსული ენის კურსებს
და თავისი პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველჰყონ ჯგუფების
შეუფერხებელი მუშაობა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაშვილი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2465

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 3 აგვისტო.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს ცეკვები 1948—1949 სასწავლო წლის შედეგების შესახებ.

რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებმა გასული 1948—1949 სასწავლო წელი მნიშვნელოვანი წარმატებით დამთავრეს. საგრძნობლად გაუმჯობესდა ოღნიშნული სკოლების საერთო მდგომარეობა; სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლების დიდ უმრავლესობაში სათანადო სიმაღლეზე იყო დაყენებული.

მთელ რიგ რაიონებში სახალხო განათლების განყოფილებები და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები მომზადებული შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს. მაგალითად, ჭიათურის რაიონში სექტემბრისათვის უკვე დამთავრებული იყო იმ კოლეგიურნე ახალგაზრდობის აღრიცხვა, რომელიც ჩატარდა უნდა ყოფილიყო სწავლაში. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებისათვის გამოიყო ბინები მასობრივი სკოლების შენობებში. გატარდა საჭირო ღონისძიებები მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, გამოიყო სახელმძღვანელები, რვეულები, სასწავლო ნივთები, რითაც სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები მომარაგებული იყვნენ მასობრივი სკოლების თანაბრად. 20 ოქტომბერს რაიონულ ცენტრში ჩატარდა სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დირექტორთა და მასწავლებელთა რაიონული თაობირზე განხილული იყო ამ სკოლების ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები, აგრეთვე მე-5—8 კლასებში მასობრივი სკოლების პროგრამების გამოყენების საკითხი, დასახული იყო ღონისძიებები სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებისა და წარმართვის უზრუნველსაყოფად. სკოლების დირექტორებს სასწავლო წლის დაწყებისათვის მზად პრონდათ სამუშაო გეგმები ცალკეულ დისკიპლინებში, წლიური და ნახევარწლიური სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმები, მოსწავლეთა პირადი საქმეები და სხვ.

კარგად მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის ზესტაფონის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლები. აღნიშნულ სკოლების დირექტორებმა და მასწავლებლებმა ჩაატარეს კოლმეურნეობებში მოხსენებები და საუბრები სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მნიშვნელობის შესახებ. კოლმეურნეობათა თავმჯდომარები, ბრიგადირები და საერთოდ საკოლმეურნეო იქტივი ეხმარებოდა სკოლის მუშაკებს სწავლაში ჩასაბმელი ახალგაზრდობის აღრიცხვისა და სწავლაში ჩაბმის საქმეში.

კოლმეურნე ახალგაზრდობის აღრიცხვისა და სწავლაში ჩაბმის, ამ სკოლების სასწავლო წლისათვის მომზადების საქმეში ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს აგრეთვე ახალციხის, გეგეტკორის, გორის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, თელავის, ლანჩხუთის, ონის, სამტრედიის, ტყიბულის, ქუთაისის, ცხაკაიას, შულუკიძის, წყალტუბოს, ხაშურისა და რიგი სხვა რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებში.

ჩატარებული მუშაობის შედეგად სასწავლო წლის დასაწყისში რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა 638 სკოლა 344 კლასით, რომლებშიც ჩაბმული იყო 22.816 მოსწავლე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 21.550 მოსწავლისა.

ადგილებზე მიღებული იყო ზომები სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. ისინი მოთავსებული იყვნენ მასობრივი სკოლების შენობებში და სარგებლობდნენ ამ სკოლების გათბობა-განათებით, ინვენტარით და მოწყობილობით.

სახელმძღვანელოებით, წიგნებით, რეესტრით და სასწავლო ნივთებით სოფლის ახალგაზრდობის სკოლები მომარაგებული იყვნენ მასობრივი სკოლების თანაბრად.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს სასწავლო წლის დასაწყისშივე ჰქონდათ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წლიური გეგმები, აგრეთვე სამუშაო გეგმები ცალკეულ სასწავლო დისკიპლინებში.

სახალხო განათლების რაიონული განყოფილებები ახორციელებდნენ ოპერატიულ ხელმძღვანელობას სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებზე. ისინი ამოწმებდნენ სკოლების მდგრამარეობას და მუშაობას და პრაქტიკულად ეხმარებოდნენ სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. აშჩროლაურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ სასწავლო წლის განმავლობაში ოთხჯერ შეამოწმა ყველა სკოლა და გაუწია მათ საჭირო დახმარება. სკოლების შემოწმება ხდებოდა

კომპლექსურად, ზოგიერთ სკოლაში კი შემოწმებული იყო ცალკე-
ული საგნების სწავლების მდგომარეობა. ასევე სამ-ოთხჯერ, სასტად
წივლო წლის განმავლობაში შემოწმებული იყო სოფლის ახალგაზრ-
დობის საღამოს სკოლების მდგომარეობა და მუშაობა აქარის
ასსრ-ში. ონის, ჩხოროციუს, ლანჩხეთის, საგარეჯოს, ჭიათურის,
გორის, ტყიბულის, გეგეშქორის, ორჯონიქიძის, ახალციხის, თეთ-
რიშვაროს, სამტრედიისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

სასწავლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული
მნიშვნელობა ჰქონდა მეთოდურ დახმარებას ამ სკოლების მიმართ.
რაიონული პედაგოგიური კაბინეტები მნიშვნელოვან ღონისძიებებს
ატარებდნენ სკოლებზე მეთოდური დახმარებისათვის. მაგალითად,
ცაგერის რაიონის პედაგინეტმა ზუნებისმეტყველების მასწავლე-
ბელთათვის ჩაატარა რამდენიმე ლექცია და მოხსენება მიჩურინული
ბიოლოგიის სწავლების მნიშვნელობისა და მისი პრაქტიკაში გამო-
ყენების შესახებ. სასწავლო წლის განმავლობაში აღნიშნული რაი-
ონის პედაგინეტის მიერ ჩატარებული იყო 13 ლექცია-საუბარი
და 17 კონსულტაცია სხვადასხვა საგნების მასწავლებელთათვის.
საჩხერის რაიონში პედაგინეტის მიერ თვეში ერთხელ ტარდებო-
და სექციური მუშაობა სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მას-
წავლებელთათვის მასობრივი სკოლების მასწავლებლებთან ერთად.
სამტრედიის, ჭიათურის, თელავის, ზესტაფონის, წულუკიძის,
მცხეთის რაიონების პედაგინეტები სისტემატურად უწევდნენ კონ-
სულტაციას ამ სკოლების მასწავლებლებს, განსაკუთრებით იმათ,
რომლებსაც პირველად უხდებოდათ ამ ტიპის სკოლებში მუშაობა.

მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივი ორგანიზაციები საქმიან
დახმარებას უწევდნენ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს
და ხელს უწყობდნენ ამ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი
მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. მაგალითად, ჭიათუ-
რის რაიონში სკოლების მუშაობის შემოწმების საფუძველზე პარტ-
რაიონმის ბიუროს და ალკა რაიკომის ბიუროს სხდომებზე ორჯერ
იყო განხილული საკითხი სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკო-
ლების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ და დასახულ იქნა
პრაქტიკული ღონისძიებანი. აღნიშნულ სხდომებს ესწრებოდნენ
სკოლების დირექტორები, პირველადი პარტიული და კომკავში-
რული ორგანიზაციების მდივნები. მიღებული დადგენილებების
საფუძველზე სასოფლო საბჭოები და კოლმეურნეობათა გამგეობები
სისტემატურად ისმენდნენ სკოლების მუშაობის საკითხს და იღე-
დნენ ზომებს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის და სკო-
ლებიდან მათი ჩამოშორების შემთხვევათა აღსაკვეთად და მეცა-

დინეობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად. განსაკუთრებით ქმედით დამხმარებას უწევდნენ ამ სკოლებს სოფ. ქვაციხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე კ. ყიფშიძე, ამავე სოფლის შეკრიტიკონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლჩქებინიძე, აგრეთვე სოფელ წირქვალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე რ. გურული. ასეთი დახმარების შედეგად აღნიშნულ სკოლებში საგრძნობლად შეცირდა შორეულ სამუშაოზე მოსწავლეთა გავზინის და შეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები. თელავის რაიონში სოფ. იყალთოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ალ. თუშიშვილი ხშირად მიღიოდა სკოლაში, ეცნობოდა სკოლის მატერიალურ ბაზას, მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრების, ყოველნაირად ეხმარებოდა სკოლას სასწავლო მუშაობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად. ასევე პრაქტიკულად ეხმარებოდა სკოლას ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალ. ჭიბალაშვილი. ასეთი ყურადღებისა და დახმარების შედეგად აღნიშნულ სკოლაში აღკვეთილი იყო მეცადინეობის უმიზეზოდ გაცდენა, სკოლა ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო გათბობით, განთებით და სხვ.

ქმედით დახმარებას უწევდა სკოლას აგრეთვე ზუგდიდის რაიონის სოფ. დარჩელის „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ი. ქანთარია. ამ დახმარების შედეგად სოფ. დარჩელის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში წლის განმავლობაში მოსწავლეთა განთესვის ადგილი არ ჰქონია და სასწავლო წელი სკოლამ წარმატებით დაამთავრა. წულუკიძის რაიონის სოფ. კონტატის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ვლ. დარსაცელიამ სამჯერ განიხილა საბჭოს სხდომაზე სკოლის მუშაობის საკითხი. ვლ. დარსაცელიას დახმარებით სკოლა მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო შეშით, ნავთით და სხვ. ამავე სოფლის ცხაქაის სხელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. მუშკუდიანი ზრუნავდა იმაზე, რომ კოლმეურნეობაში არ დარჩენილიყო სკოლის გარეშე 14—25 წლის არც ერთი ახალგაზრდა.

ცაგერის რაიონში ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფესიონული ორგანიზაციები პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს. სასწავლო წლის დასაშეინიში ადგილობრივმა პარტრაიკომმა მოისმინა ამ სკოლების დაკომპლექტების მიმდინარეობის საკითხი. ცალკეულ უნდებზე მიამაგრა დასახმარებლად მმანავები, რის შედეგად სწავლას ჩამოცილებული მრავალი ახალგაზრდა დაუბრუნდა სკოლებს.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს ქმედით დახმარებას უწევდნენ აგრეთვე აფხაზეთის ასსრ-ის, გორის, ქუთაისის,

სამტრედის და რიგი სხვა რაიონების აღვილობრივი საბჭოთა და
საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რაც ხელს უშენობდა ამ სკოლა-
ბის მდგომარეობის გაუმჯობესებას.



სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დირექტორებად
შეთავსებით მუშაობდნენ მასობრივი სკოლების დირექტორები.
ისინი შესაფერის მზრუნველობას იჩენდნენ ამ სკოლებზე, მათს
უზრუნველყოფაზე გათბობა-განათებით, სახელმძღვანელობით, სა-
სწავლო ნივთებით, სათანადო ორგანოებში აყენებდნენ საკითხს ამ
სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და
სხვ. ასეთ მოწინავე დირექტორთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად,
მცხეთის რაიონის სოფ. მისაქციელის სოფლის ახალგაზრდობის რეა-
წლიანი სკოლის დირექტორი გ. მურლულია, ცაგერის რაიონის სოფ.
ორბელის სკოლის დირექტორი გ. გოლეთიანი, ჭიათურის რაიონის
სოფ. წირქვალის სკოლის დირექტორი შ. მუშლიძე. ბათუმის რაი-
ონის სოფ. მახინჯაურის სკოლის დირექტორის ი. ტულუშს დროუ-
ლიდ პქონდა შედგენილი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის
წლიური გეგმები. იგი ყოველდღიურ კონტროლს უწევდა მასწავ-
ლებელთა მუშაობას, რეგულარულად ისმენდა გაკვეთილებს და ემა-
რებოდა მასწავლებლებს მუშაობის გაუმჯობესებაში. პედსაბჭოს
სხდომებზე ის სისტემატურად აყენებდა ცალკეულ სასწავლო დის-
ციპლინების სწავლების მდგომარეობის საკითხებს. ამ სკოლაში
ყველა სასკოლო დოკუმენტი გაფორმებული იყო წესიერად, მოს-
წავლეთა პირადი საქმეები მოყვანილი იყო წესრივში და სხვ.
საერთოდ აღნიშნულ სკოლაში იგრძნობოდა დირექტორის კარგი
ხელმძღვანელობა.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მასწავლებლები
გულმოდგინედ და თავდადებით მუშაობდნენ სკოლებში და თავის
მუშაობას უფარდებლენ ამ სკოლების თავისებურებას. მაგალითად,
ჭიათურის რაიონის სკოლების მასწავლებელთა დიდი ნაწილი ზედმი-
წევნით იყო დაუფლებული თავის საგანს და სწავლების მეთოდებს.
ისინი სისტემატურად ემზადებოდნენ გაკვეთილებისათვის, აღვენ-
დნენ გაკვეთილების გეგმებს, სწავლების პროცესში ფართოდ იყე-
ნებდნენ თვალსაჩინოებას. სასწავლო მასალას ისინი ყრელთვის
გადასცემდნენ თანამიმდევრულად, მიმზიდველად, მეცნიერული სი-
ზუსტითა და მოსწავლეთათვის მისაწვდომად. პროგრამული მასა-
ლის დამუშავებისას მასწავლებლები ამახვილებდნენ ყურადღებას
აღმზრდელობით საკითხებზე.

კარგად იყო დაყენებული ქართული ენისა და ლიტერატურის
სწავლება ჭიათურის რაიონის სოფ. ქვაციხის (მასწავლებელი
30

ვ. გლენტი), წირქვალის (მასწ. შ. მუმლაძე), ხრეითის (მასწ. ი. ტა-
ბატაძე) სკოლებში. აღნიშნული მასწავლებლები თანმიმდევრულად
და გამართული ლიტერატურული ენით გადასცემდნენ პროგრამულ
მასალას, ნორმალურად ატარებდნენ წერით მუშაობას, სისტემატუ-
რად ახდენდნენ დამახასიათებელი ზეცდომების კლასში განხილვას,
ამახვილებდნენ მოსწავლეთა ყურადღებას ტექსტზე მუშაობის ჩვე-
ვების განმტკიცებისათვის, გრამატიკულ ვარჯიშს მოხერხებულად
უკავშირებდნენ ლიტერატურულ მასალას, ჯეროვან ყურადღებას
აქცევდნენ მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების დონის
ამაღლებას, გულისხმიერად ეპყრობოდნენ კითხვის ჩვევებისა და
დამოუკიდებელი ლოგიკური მსჯელობის გამომუშავებას და სხვ.
მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას აღნიშნული მასწავლებლები აწარ-
მოებდნენ სწორად და სისტემატურად.

კარგად მუშაობდნენ ისტორიის მასწავლებლები იმავე რაიონის
სოფ. სვერის (გასწავლებელი ი. ცუცქირიძე), ხრეითის (მასწავლ.
ი. ბაქრაძე), ცხრუკეთის (მასწ. გრ. ბიჭაძე) სკოლებში. აღნიშნუ-
ლი მასწავლებლები საგნის სწავლებას უკავშირებდნენ საალმზრდე-
ლო საკითხებს. ისინი აცნობდნენ მოსწავლეებს ჩვენი ქვეყნის გმი-
რულ ისტორიულ წარსულს, უნერგავდნენ მათ სამშობლოსადმი
სიყვარულსა და თავდადებას. მასწავლებლების კარგი მუშაობის
შედეგად მოსწავლეები ახერხებდნენ ისტორიული მასალის მწყობრსა
და თანმიმდევრულ თხრობას, ისტორიული მოვლენების, თარიღე-
ბისა და სახელების დაუმახინჯებლად გადმოცემას, ისტორიულ
მოვლენებს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირის შეგნებულად
ახსნა-განმარტებას.

ნაყოფიერად მუშაობდნენ ქუთაისის რაიონის სოფ. გეგუთის,
ოფშევითის, ქონეთის სკოლების ბუნებისმეტყველების მასწავლებ-
ლები. ამ სკოლებთან მოწყობილი იყო მიჩურინული მიწის ნაკვე-
თები, სადაც გაშენდა ხეხილოვანი, დეკორატიული და ბოსტნეული
კულტურები ცდებისა და დაკვირვების მიზნით. სასკოლო მიჩური-
ნულ ნაკვეთებზე პრაქტიკულმა მუშაობამ გააძლიერა მოსწავლეთა
ინტერესი მიჩურინული ბიოლოგიის სწავლებისადმი და შეუმუშავა
მათ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

საჩხერის რაიონის სკოლებში განსაკუთრებით აღსანიშნავია და-
წყებითი კლასების მასწავლებელთა მუშაობა. დაწყებით კლასებში
ჩაბმული ახალგაზრდობა წლობით იყო სკოლის გარედ დარჩე-
ნილი, მაგრამ გულმოდგინე მუშაობით მასწავლებლებმა მიაღწიეს
მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ათვისებას და მათში
წერისა და კითხვის კულტურის გამომუშავებას (მასწავლებლები-

ტ. ეზიაშვილი სოფ. ქორეთის სკოლაში, ტ. მესხი სოფ. საირნების სკოლაში, ა. აბეანდაძე სოფ. სარეკის სკოლაში).

საქონის
სამართლებრივი მინისტრი

კარგად მუშაობდნენ ჩხოროწყუს რაიონის რიგი სკოლების შპს-წავლებლები. მაგალითად, ჩხოროწყუს სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ი. კვარცხავა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა მოსწავლეთა ლექსიკურ გარჯოშს, აჩვევდა მოსწავლეებს რუსული სიტყვებისა და წინადაღებების გააზრებულად და სწორად გამოთქმას, მოთხოვნებისა და ლექსების შეგნებულად დასწავლას; იგი ყოველ გაკვეთილზე ამოწმებდა საშინაო დავალებებს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა წერით მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას, გულმოღვინედ ასწორებდა მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს, ავარჯიშებდა მათ შეცდომების გასწორებაზე. ამგვარი მუშაობის შედეგად პროგრამით გათვალისწინებული მასალა მოსწავლეებს კარგად ჰქონდათ შეთვისებული.

მნიშვნელოვანი წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი თელავის რაიონის რიგმა სკოლებმა. სოფ. ვარდისუბნის (მასწ. მ. ბაქაძე), ფშავლის (მასწ. ვ. ქავთარაძე), კურდლელაურის (მასწ. ე-უთურაშვილი) სკოლებში მოსწავლეები კარგად იყვნენ დაუფლებული პროგრამით გათვალისწინებულ მასალას რუსულ ენაში, დამაქმაყოფილებლად იცოდნენ გრამატიკული მასალა, კითხულობდნენ საესტიტუტო გარკვევით, სწორად იყენებდნენ სასვენ ნიშნებსა და მახვილებს. კარგად ჰქონდათ ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული მასალა გეოგრაფიაში სოფ. ნიფარეულის (მასწ. შ. საგინაშვილი) და ფშავლის (მასწ. ნ. კუკუნაშვილი) სკოლების მოსწავლეებს. მასწავლებელთა კარგი მუშაობის შედეგად ამ სკოლების მოსწავლეებმა საფუძვლიანი იცოდნენ რუკა, იცნობდნენ რუკის პირობით ნიშნებს, შეეძლოთ ქვეყნის ნაწილების როგორც ფიზიკური დახასიათება, ისე მათი სამეცნიერო დარგების ზოგადი მიმოხილვა. ბუნებისმეტყველება-ქიმიაში კარგად იყო დაყენებული მუშაობა სოფ. კურდლელაურის (მასწ. ნ. მუმლაური), იყალთოს (მასწ. ნ. ჯავახიშვილი), ზალაურის (მასწ. გ. ფაციაშვილი) სკოლებში. მასწავლებლები ფართოდ იყენებდნენ თვალსაჩინოებას, ახდენდნენ სათანადო დაკვირვებებსა და ატარებდნენ ცდებს. თეორიულ მასალასთან ერთად მასწავლებლები უკითარებდნენ მოსწავლეებს ჩვევებს მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების საქმეში. სოფ. კურდლელაურის სკოლის მოსწავლეებმა საფუძვლიანი იცოდნენ თეორიული მასალა ბუნებისმეტყველებაში. მათ შევნებული ჰქონდათ ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევის როლი მცენარეთა განვითარებაში, იცნობდნენ მიჩრინინისა და ლისენკოს მიღ-

წევებს ამ დარგში. მასწავლებლებმა გააცვნეს მოსწავლეებს; „კახუ-
რი დატორებილი პურის“ გამმრავლებელის სტალინური პრემიის
ლაურეატის აგრონომ მათათელაშვილის მიღწევები. აგრონომის მა-
ხათელაშვილი მოწვევული იყო სკოლაში, სადაც მან ჩატარა საუ-
ბარი თავისი მუშაობისა და მიღწევების შესახებ. ნაყოფიერად მუ-
შაობდნენ ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლებიც. მოსწავლეებს
მტკიცედ აქვთ შეთვისებული მათემატიკის ძირითადი ცნებები,
გამომუშავებული აქვთ ამოცანების ამოხსნის დროს ლოგიკური
მსჯელობისა და დამოუკიდებელი მუშაობის მტკიცე ჩვევები.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მოსწავლეთა ძი-
რითადი მასა გულმოდგინედ სწავლობდა და მოხერხებულად უთავ-
სებდა სწავლას კოლმეურნეობაში მუშაობას. ამ სკოლების მრავა-
ლი მოსწავლე მოწინავე იყო როგორც სწავლაში, ისე საკოლმეურ-
ნეო წარმოებაში. მაგალითად, ასპინძის სოფლის ახალგაზრდობის
რეაწლიანი სკოლის მოსწავლეს შოთა ფანჩულიძეს, რომელმაც
წელს დაამთავრა 8 კლასი, გამომუშავებული ჰქონდა 1948 წელს
156 შრომადლე. ხოლო 1949 წლის მაისამდე—101 შრომადლე;
კომეკავშირელ მოსწავლე ალექსანდრე რობაქიძეს, რომელმაც სხვა
წელს დაამთავრა 8 კლასი, გიმომუშავებული ჰქონდა 1948 წელს
165 შრომადლე, ხოლო 1949 წლის მაისამდე—51 შრომადლე; მე-7
კლასის მოსწავლეს შალვა არაბიძეს 1948 წელს გამომუშავებული
ჰქონდა 126 შრომადლე, ხოლო 1949 წლის მაისამდე—75 შრომა-
დლე. ეს მოსწავლეები სკოლაში კარგად სწავლობდნენ და ყოველ-
გვარ სასკოლო დავალებას კეთილსინდისიერად ისრულებდნენ. თე-
ლავის რაიონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების კომეკავშირელმა
მოსწავლეებმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს სასწავლო წელი
და საკოლმეურნეო შრომაშიც გამოიჩინდნენ, როგორც მოწინა-
ვენი. მაგალითად, სოფ. კურდლელაურის სკოლის მოსწავლეს შ. სუ-
ხიტაშვილს 1948 წელს გამომუშავებული ჰქონდა 360 შრომადლე,
მოსწავლე დ. ჩუბინიშვილს—372 შრომადლე, სოფ. ვარდისუბნის
სკოლის მოსწავლეს დ. ფარეშიშვილს—255 შრომადლე. გორის
რაიონის სოფ. ქახერელის სკოლის მოსწავლეს ა. საღალაშვილს
1949 წლის მაისამდე გამომუშავებული ჰქონდა 140 შრომადლე და
მიმღინარე წელს მან 8 კლასი „ოთხებზე“ და „ხუთებზე“ დაამთავრა-
ქედის რაიონის სოფ. დოლოგნის სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
საფარიძე მაღალი მოხატვის ოსტატი, დაჯილდოებულია შრომის
წითელი დროშის ორდენით და ამავე დროს კარგად სწავლობდა-
ბათუმის რაიონის სოფ. ურეხის სკოლის ყველა 28 მოსწავლე კოლ-
მეურნეები იყვნენ. თითოეულ მათგანს 1948 წელს გამომუშავებული

ჰერნდა 130-დან 300-მდე შრომადლე. ქუთაისის რაიონის სოფერნეთის სკოლის მე-7 კლასის კომპავშიჩელ ფრიადოსან მოსწავლეს ს+ახანოველ მეჩაიეს ნათელი სულაბერიძეს მაგე სოფლის „განთიადის“ სახელობის კოლმეუჩნეობაში გაცომუშვებული ჰქონდა 1948 წელს 325 შრომადლე, ხოლო 1949 წლის აპრილამდე—85 შრომადლე. ცხავაიას რაიონის სოფ. შხეფის სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ კ. ნინუამ მიმღინარე წელს კარგი წარმატებით დამთავრა 8 კლასი. მაგე დროს იგი წარმატებით მუშაობდა კოლმეურნეობაში: 1948 წელს გამომუშავებული ჰქონდა 276 შრომადლე. კოლმეურნეობაში ის რგოლს ხელმძღვანელობდა, ხოლო მისი რგოლი მოწი იყო იყო წარმოებაში.

სოფლის ახალგაზრდობის საოამოს სკოლებში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარებისათვის აღვილებზე დროულად იყო დაწეუბული მოსამზადებელი მუშაობა. აღვილობრივი ხელმძღვანელი რჩების ციიდის წინაშე დაისვა საკითხი, როთა კოლმეურნეობებს დამთავრება დამოგჩინათ ამ სკოლების მოსწავლეთათვის გამოცდებზე უკლებლივ დასწრების საქმეში.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სასწავლო წლის ბოლოს ირიცხებოდა სულ 16.439 მოსწავლე. მოსწავლეთა ამ შემადგენლობიდან დაშვებული იყო გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებზე 16.435 მოსწავლე. ამთვანი: გადაყვანილია შემდეგ კლასებში ან დაამთავრა 11.435 მოსწავლე, დატოვებულია იმავე კლასებში 3.342 მოსწავლე. გადაყვანის საკითხი გადაედო შემოდგომისათვის 1.858 მოსწავლეს. მე-8 კლასი დაამთავრა 1.630 მოსწავლემ.

მაგრავ ამის გან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ გასული სასწავლო წლის მაჩინიზე ზოგიერთ რაიონში სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მდგომარეობა და მუშაობა არ იყო დაყენებული დამაჯმუფილებლად. ამ სკოლების ქსელმა და კლასებისა და მოსწავლეთა როთლენობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. რიგ რაიონებში კონტინენტუს სიმკირისა და კლასების საქმაო დაუტენირებელობის გამო დაიხურა ცალკეული სკოლები და კლასები. მაგალითად, მაიაკოსკის რაიონში წლის განმავლობაში დაიხურა სამი სკოლა 15 კლასით, ქუთაისის რაიონში დაიხურა ათი სკოლა 64 კლასით.

ზოგიერთ რაიონში სახალხო განათლების ორგანოების სუსტი მუშაობის გამო სკოლებში არ იყო მთლიანი ჩაბმული ის ახალგაზრდობა, რომელიც აღიარებული იყო სასწავლო წლისათვის მზადების პროცესში. მაგალითად, ქარელის რაიონში 585 აღრიცხუ-

ლი ახალგაზრდიდან სწავლაში ჩაბმული იყო მხოლოდ 363 კაცი. ბორჯომის რაიონის სოფ. ჭობისხევის სკოლისათვის აღრიცხული 35 ახალგაზრდიდან სწავლაში ჩაბმული იყო 24 კაცი. სოფ. 3/ახალდაბის სკოლისათვის აღრიცხული 25 კაციდან—17 ახალგაზრდა; აქარის ასსრ-ში 690 აღრიცხული ახალგაზრდიდან ჩაბმული იყო სწავლაში 518 კაცი და ა. შ.

სასწავლო წლის განმავლობაში სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს ჩამოშორდა 6.377 მოსწავლე. რაიგ სკოლებში მოსწავლეები ჩამოშორდნენ სკოლებს არასაპატიო მიზეზით, აგრეთვე შორეულ სამუშაოზე გაგზავნის გამო და სხვ. მაგალითად, ცაგერის რაიონში უმიზეზოდ ჩამოშორდა სკოლას 51 მოსწავლე; თბილისის რაიონის სოფ. მარტყოფის სკოლას ჩამოშორდა 38 მოსწავლე, მათ შორის 19 მოსწავლე უმიზეზოდ; თიანეთის რაიონის სოფ. ღულელების სკოლიდან განთესილია 13 მოსწავლე; თეთრიწყაროს რაიონის სკოლებიდან განთესილია 33 მოსწავლე; ახალციხის რაიონის სოფ. აწყურის სკოლიდან 16 მოსწავლე, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ეს ახალგაზრდები ზამთრის პერიოდში გავიდნენ სხვა რაიონებში სეზონურ სამუშაოზე. ამავე მიზეზით წალკის რაიონის სკოლებს ჩამოშორდა 100-ზე მეტი მოსწავლე.

ზოგ ზემთხვევაში სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები მოთავსებული იყვნენ შეუფერებელ, ზოგჯერ უვარვის შენობებში. მაგალითად, ზნაურის რაიონის სოფ. ხუნდისუბნის სკოლა მოთავსებული იყო აღვილობრივი დაწყებითი სკოლის უვარვის შენობაში. ასევე ცუდ პირობებში მუშაობდა იმავე ზნაურის რაიონის სოფ. თიღვის სოფლის ახალგაზრდობის რვაწლიანი სკოლა. ამ სკოლის საკლასო ოთახებში დაფები იატაქზე იდგა. დაფასთან გამოძახებული მოსწავლეები დაჩრქილი წერდნენ. თითონ დაფები ისე გაცრეცილი იყო, რომ ზედ ნაწერის გარჩევა თითქმის შეუძლებელი იყო. სკოლას არ გააჩნდა მცირე კუთხეც კი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სასკოლო დოკუმენტებისა და საქმეების შენახვა. სწავლის დამთავრების შემდეგ სკოლის დირექტორს საკლასო ეურნალები შინ მიჰქონდა. რადგან მათი შესანახი აღვილი სკოლას არ გააჩნდა.

ცუდ საბინაო პირობებში იმყოფებოდნენ ზემო-სევანეთის რაიონის სოფ. ცხუმარის, ფარის, ეცერის სკოლები, რომელთა შენობებში წვიმი თავისუფლად ჩამოდიოდა, ფანჯრებში მინები ჩამტვრეული იყო, ბუხრები ცუდად თბებოდა და სხვ. ღუშეთის რაიონის სოფ. მილახერიანთვარის სკოლა მოთავსებული იყო ისეთ შენო-

ბაში, რომელიც ძველ ციხე-კოშქს მოგვაგონებს და სასკოლო
მუშაობისათვის სრულებით შეუფერებელია.

ზოგ შემთხვევაში სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების
სწავლების პროცესში ვერ იყენებდნენ ხელსაწყოებს, რეაქტივებს,
თვალსაჩინოებას, ვერ აწარმოებდნენ ცდებს, რაღან მასობრივი
სკოლები, რომელთა შენობებშიც ეს სკოლები მოთავსებული იყვნენ
ყოველთვის არ იყვნენ უზრუნველყოფილი ხელსაწყოების საჭირო
რაოდენობით.

ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების განყოფილებაში ვერ
უზრუნველყო სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების სათა-
ნადოთ მომარაგება სახელმძღვანელოებით და სხვა სასწავლო ნივთე-
ბით. მაგალითად ზემო-სვანეთის რაიონის სოფ. ფარის სკოლაში ვეო-
გრაფიის სახელმძღვანელო მოსწავლეთა უმრავლესობას არ გააჩნდა.
ხულოსა და ბათუმის რაიონების ზოგიერთ სოფელში განათლების
განყოფილებათა სუსტი კონტროლისა და სკოლების დირექტორთა
უყურადღებობის გამო სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს არ გამო-
უყვეს სახელმძღვანელოებისა და რევულების კუთვნილი რაოდენობა.
ამის შედეგად სოფლის ახალგაზრდობის სკოლები აღნიშნულ რაი-
ონებში განიცდიდენ სახელმძღვანელოებისა და რევულების ნაკლე-
ბობას.

რიგ სკოლებში მოუწესრიგებელი იყო სასკოლო დოკუმენტიცია-
მაგალითად, ზნაურის რაიონის სოფ. ხუნდისუბნის სკოლაში სრუ-
ლებით არ მოიპოვებოდა მოსწავლეთა პირადი საქმეები. იმავე რაი-
ონის სოფ. თიღვის რვაწლიან სკოლაში საკლასო ჟურნალებსა და
გაყვეთილების ცხრილს გარდა არავითარი დოკუმენტი არ მოიპოვე-
ბოდა, არც ერთი მოსწავლეზე არ იყო შედგენილი პირადი საქმე.

ზოგიერთი სკოლა თავის დროზე არ იყო უზრუნველყოფილი
საჭირო გეგმებით. მაგალითად, ზნაურის რაიონის სოფ. თიღვის
სკოლას სასწავლო წლის პირველ ნახევარში არ ჰქონდა სასწავლო-
აღმზრდელობითი მუშაობის გეგმა, აგრეთვე სამუშაო გეგმები ცალ-
კში დისციპლინებში. სკოლას ასევე არ გააჩნდა პედაგვის
სამუშაო გეგმა და პედსაბჭოს სხდომების ოქმები. იმავე რაიონის
სოფ. ხუნდისუბნის სკოლაში სამუშაო გეგმები არასწორად იყო
შედგენილი, საკითხები გეგმებში ზოგადად იყო ფორმულირებული,
ზოგჯერ კი გაუგებრადაც.

ზოგ რაიონში იდგილობრივი ორგანიზაციები არ აქციებენ
ყურადღებას ამ სკოლებს და არ ცდილობდნენ შესაფერისი დამა-
რება აღმოჩენით მათთვის სათანადო ასაკის ახალგაზრდობის
აღრიცხვისა და სწავლაში ჩაბმის, მოსწავლეთა კონტინგენტების

შენარჩუნების, მეცადინეობაზე დასასწრებლად მათთვის ნორმალური პირობების უზრუნველყოფის საქმეში. მაგალითად, თიანეთის რაოდინების ანის კომპარატიულ ორგანიზაციას სასწავლო წლის განმავლობაში არც ერთხელ არ განუხილავს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მუშაობის საკითხი და არ დაუსახავს რაიმე ღონისძიება ამ სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ასევე წალენჯიხის რაიონში ადგილობრივი ორგანიზაციები არ უწყობდნენ ხელს მუშაობაში აღნიშნულ სკოლებს. წალენის რაიონის თ-ქილისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯეირანვი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ადგილობრივი სკოლის მუშაობას, სკოლა არ მოამარავა სათბობით, მოსწავლეებს გზავნიდა ისეთ სამუშაოზე, რაც მათ არ აძლევდა მეცადინეობაზე დასწრების სამუშალებას, რის შედეგადაც მოსწავლეები სკოლის ჩამოშორდნენ და სკოლაც მიმდინარე წლის თებერვალში სრულდებით დაიხურა. ამასთანეე ერთად წალენის რაიონური დროულად არ ამარაგებდა ნავთებით სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს, რის გამოც ადგილი ჰქონდა მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებს. ხულოს რაიონში სოფ. დიდაჭარის მესამე ინტერნაციონალის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. გობაძე მოსწავლეებს შორეულ სამუშაოზე აგზანიდა, რაც იწვევდა მეცადინეობის ხშირ გაცდენებს. მახარაძის რაიონის სოფ. შემოქმედის კოლმეურნეობის თავჯდომარე ე. დარჩია დაეკინებით მოითხოვდა მოსწავლეების სკოლიდან განთავისუფლებას იმიტომ, რომ „იგი მუშა ხელია და ცდება სამუშაოს“. სამხრეთ-სეთის ავტონომიური ოლქის ზოგიერთ სოფელში კოლმეურნეობები თავის დროზე არ ათავისუფლებდნენ მოსწავლეებს საკოლმეურნეო სამუშაოდან. ამის გამო ზნაურის რაიონის სოფ. თიღვის, ხუნდისუბნის, კევის და ზოგიერთ სხვა სოფელში მეცადინეობა სკოლებში იწყებოდა საღამოს 8—9 საათზე და გრძელდებოდა ღამის 12 საათამდე. ცუდი იყო მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრება.

ამასთან ერთად სოფლის ახალგაზრდობის ყველა სკოლის დირექტორი როდი გრძნობდა პასუხისმგებლობას სკოლის მუშაობაზე. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სოფ. კახათის სკოლის დირექტორი რ. ჯიქა იშვიათად ესწრებოდა მოსწავლეებითა გაკვეთილებს, არ ამოწმებდა მასწავლებელთა მუშაობის ხარისხს, არ აწარმოებდა მეთოდურ მუშაობას მასწავლებელთა დასახმარებლად, ყურადღებას არ აქცევდა საქალას ურნალებში ყოველდღიურ აღრიცხვიანობას. სკოლის აღმინისტრაციის ცუდი მუშაობის შედეგად ამ სკოლაში ხშირი იყო მეცადინეობის გაცდენა. ასევე სუსტად მუშაობდა ლაგოდეხის რაიონის სოფ. ბაისუბნის რვაწლიანი სკო-

ლის დირექტორი ა. ორმოცაძე, ჩომელიც იშვიათად ესწრებოდა გაკვეთილებს, ხოლო რასაც დასწრებია, ისიც ფიქსირებული ჰქონდა. წულუკიძის რაიონის სოფ. ხიდის სკოლის დირექტორი ს. ჩიგუნავა გულგრილად ეკიდებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას, არ ჰქონდა მოწესრიგებული მოსწავლეთა პირადი საქმეები და სხვ. ბორჯომის რაიონის სოფ. კორტანეთის სკოლის დირექტორი ა. უღენტი ასევე გულგრილად ეკიდებოდა საქმეს. გეგმით გათვალისწინებული და იღრიცხული 19 მოსწავლიდან მან სწავლა-ში მხოლოდ 11 კაცი ჩააბა, მაგრამ უყურადლებობის გამო წლის ბოლომდე ისინიც განითხესნ.

ყველა სკოლაში დამაკმაყოფილებლად არ იყო დაყენებული სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა. ზოგიერთი მასწავლებელი გულგრილად ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ საქმეს, მუშაობდა უგეგმიდ და უსისტემოდ, საქმაოდ არ ზრუნავდა მოსწავლეთა აქადემიური წარმატებისათვის, რის შედეგად ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალი იყო.

მაგალითად, სუსტად იყო დაყენებული მუშაობა თიანეთის რაიონის ზოგიერთ სკოლაში. სოფ. სიმონიანთხევის (მასწ. მ. რამიშვილი) და ლულელების (მასწ. ს. ზარავანდაშვილი) სკოლებში მოსწავლეებმა სუსტად იცოდნენ ქართული ენა და ლიტერატურა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამით გათვალისწინებული მასალა ფორმალურად გავლილია, მოსწავლეთა ცოდნის დონე დამაკმაყოფილებელი არ არის. სათანადო სიმაღლეზე არ იდგა აგრეთვე ისტორიის სწავლება (მასწ. თ კრისტოფერსკაია).

ცუდად მუშაობდა სასწავლო წლის განმავლობაში აგრეთვე სამსრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სტალინირის რაიონის სოფ. ძარწემის, ზნაურის რაიონის სოფ. თიღვის, ბათუმის რაიონის სოფ. ურეკის სკოლების ზოგიერთი მასწავლებელი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სახალხო განათლების საოლქო და რაიონულმა განყოფილებებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები ახალ, 1949—1950 სასწავლო წელს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მდგომარეობისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც:

ა) უმოკლეს დროში უზრუნველჰყონ სოფლის ახალგაზრდობის იმ კონტინგენტების აღრიცხვა და დაზუსტება, რომლებიც ჩამული უნდა იქნან სწავლაში.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დაქომპლექტების სათანადოდ
ჩასატარებლად დაიჭირონ უშუალო კავშირი აღვილობრივ უნიტერაცია
ქოთა, პარტიულ, კომუნისტიულ, პროფესიონალულ ორგანიზაციებ-
თან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან და მათი
მეშვეობით გაატარონ საჭირო ღონისძიებანი.

ბ) გადასინჯონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებისა
და მასობრივ სკოლებთან არსებული კლასების ქსელი. დროულად
უზრუნველყონ სკოლებისა და კლასების გახსნა, რაც გათვალის-
წინებულია მოცემული გეგმით.

იმ შემთხვევაში, როდესაც არის დამატებითი სკოლებისა და
კლასების გახსნის აუცილებელი საჭიროება, სათანადო მოთხოვნა
დროულად წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამი-
ნისტროში.

გ) ჩატარებული აღრიცხვის საფუძველზე დააქომპლექტონ სკო-
ლები მოსწავლეთა სათანადო კონტინგენტებით, ამასთან უზრუნ-
ველყონ მცირერიცხვანი კლასების დაქომპლექტება მოსწავლეთა
სათანადო რაოდენობით.

დ) დროულად მიიღონ ზომები სოფლის ახალგაზრდობის სკო-
ლების სათანადო ბინებით უზრუნველსაყოფად, ამასთან მისცენ
საშუალება საღამოს სკოლებს შეუფერხებლად ისარგებლონ მისო-
ბრივი სკოლის სასკოლო და სასწავლო მოწყობილობით, კაბინეტე-
ბით, ბიბლიოთეკით და სხვ.

ე) საქართო ფონდიდან მოამარავონ სოფლის ახალგაზრდობის
საღამოს სკოლების მოსწავლეები სახელმძღვანელოებით, რვეულე-
ბით და სასწავლო ნივთებით, მასობრივი სკოლების მოსწავლეთა
თანაბრად.

ვ) მიიღონ საჭირო ზომები სკოლების განათების უზრუნველსა-
ყოფად, იქნიონ თითოეულ კლასზე 4—5 ლამპა, ხოლო სადაც
ელექტრონის განათებაა, იქნიონ მარაგი 1—2 ლამპის რაოდენო-
ბით თითოეულ კლასზე: ამასთან ერთად დროულად მოამარავონ
სკოლები საქმაო რაოდენობის სათბობათ.

ზ) უმოქლეს ვადაში გადასინჯონ სოფლის ახალგაზრდობის სა-
ღამოს სკოლების დირექტორთა (გამგეთა) და მასწავლებელთა
შემადგენლობა და სუსტი მუშაკები, რომლებმაც გასულ სასწავლო
წელს ვერ გამოიჩინეს მუშაობის სათანადო უნარი, შესცვალონ სა-
კირო კვალიფიკაციის მქონე კადრებით.

ამ სკოლების დირექტორებად და მასწავლებელებად, როგორც
წესი, შერჩეულ იქნან მასობრივი სკოლების დირექტორები (გამ-

გეები) და მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ სათანადო გამოცდა-
ლება და შესწევთ უნარი მოზრდილებთან მუშაობისა.

კარის ფაზა
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თ) ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციებში დასვან საკითხი
სასოფლო საბჭოებისა და კოლეჯურნეობების მხრით ამ სკოლებზე
დახმარების და ხელშეწყობის შესახებ და ჩიაღწიონ იმას, რომ
აღკვეთილ იქნეს შორეულ სამუშაოზე მოსწავლეთა გაგზავნა.

ი) დამდეგი სასწავლო წლის დაწყების წინ ჩატარონ სოფლის
ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დირექტორთა (გამგეთა) და
მასწავლებელთა თათბირები, სადაც განხილულ იქნეს ამ სკოლების
სასწავლო გეგმები, პროგრამები და მეთოდური მითითებანი სოფ-
ლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის საკითხებზე.

აღნიშნულ თათბირებზე განიხილონ აგრეთვე ღონისძიებანი,
რომლებმაც უნდა უზრუნველყოს დამდეგ სასწავლო წელს სოფ-
ლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მდგომარეობისა და
მუშაობის გაუმჯობესება.

კ) შემოლებულ იქნეს პრაქტიკაში სოფლის ახალგაზრდობის
სკოლის ანგარიში კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე, სადაც
განხილული იქნება სკოლის მდგომარეობა და მუშაობა (სკოლის
მატერიალური ბაზა, გათბობა-განათება, ხელსაწყოებით უზრუნველ-
ყოფა, მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრება და სხვ.) და დასა-
ხულ იქნება ღონისძიებანი სკოლის მუშაობის გაუმჯობესებისა-
თვის.

ლ) კომენჯირის ადგილობრივ ორგანიზაციებში დასვან საკით-
ხო სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის შესახებ და და-
სახონ ღონისძიებანი მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

მ) კატეგორიულად აიკრძალოს სოფლის ახალგაზრდობის სკო-
ლებში იმ მოსწავლეთა მიღება, რომლებიც აკადემიური ჩამორჩე-
ნილობის ან ცუდი ყოფა-კულტურის გამო გასული ან გარიცხული
არიან მასობრივი სკოლიდან.

ნ) სათანადო ყურადღება მიაქციონ დოკუმენტაციის საქმეს სოფ-
ლის ახალგაზრდობის სკოლებში, მოსწავლეთა პირადი საქმეების
წარმოებას, მოსწავლეთა ჩარიცხვას, ხოლო მათი არასწორად
ჩარიცხვის შემთხვევაში შეკარი სასჯელი დაადონ დამნაშავებს.

ო) ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებელი საორგანიზაციო
მუშაობა წარმართონ ისეთნაირად, რომ სოფლის ახალგაზრდობის
საღამოს სკოლებში უზრუნველყოფილი იქნეს ნორმალური მეცა-
დრენების დაწყება 1 ნოემბერს.

პ) ყოველმხრივად გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი
სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებზე, სასწავლო წლის

განმავლობაში სისტემატურად შეამოწმონ ამ სკოლების მდგომარეობა და და მუშაობა და შემოწმების საფუძველზე მისცენ სკოლის დირექტორებს (გამგებებს) და მასწავლებლებს საჭირო მითითებაზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

2. დაევალოს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების დირექტორებს (გამგებებს):

ა) ახალი სასწავლო წლისათვის წესრიგში მოიყვანონ მოსწავლეთა პირადი საქმეები და სასკოლო დოკუმენტები, უზრუნველყონ სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებისა და მოვლა-შენახვის წესების დაცვა.

ბ) გაუწიონ შესაფერისი დახმარება კონსულტაციებით სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მოსწავლეებს, რომლებსაც მიცემული აქვთ საშემოდგომო გამოცდა.

გ) მტკიცედ დანერგონ სკოლებში გეკმიანი მუშაობა, დროულად უზრუნველყონ სკოლის წლიური სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმის, აგრეთვი ცალკეულ სასწავლო დისკიპლინებში სამუშაო გეგმების შედგენა, განხილვა და დამტკიცება.

დ) სკოლის სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის სპეციფიკა და სასკოლო მუშაობის ცველა მხარე.

ე) ყოველმხრივად გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ გაკვეთილები სხვადასხვა დისკიპლინებში, მასწავლებელთათვის მიცემული მითითებები გააფორმონ წერილობით და კონკრეტული სახით, მასწავლებელთა მუშაობის შემოწმების შედეგები დროგამოშევებით განიხილონ პედასტკოს სხდომებზე, დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

ვ) გააძლიერონ სკოლაში მეთოდური მუშაობა, მეთოდგაერთიანებებსა და საგნობრივ კომისიებში რეგულარულად განიხილონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში სწავლების მეთოდიების საკითხები.

ზ) მოაწესრიგონ საკლასო უურნალების წარმოება, უზრუნველყონ საკლასო უურნალებში გალილი მასალის ყოველდღიური აღნიშვნა, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მიმღინარე შეფასების სისტემატური აღრიცხვა და მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების აღნიშვნა.

თ) სასოფლო საბჭოებთან და კოლმეურნეობებთან დაამყარონ მჭიდრო კავშირი და მათი მეშვეობით და დახმარებით უზრუნველ-

ჰუმინოვის მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზებით მეცადინეობრივ
გაცდენის აღკვეთა.

3. სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მასწავლებლებში:

ა) ყოველთვის იქონიონ გაკვეთილის გეგმები, შეიმუშაონ და
იქონიონ დამტკაცებული წლიური და ნახევარწლიური სამუშაო
გეგმები, რომელთა შესაბამისად აწარმოონ მუშაობა სათანადო
სასწავლო დისკიპლინებში.

ბ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტე-
რატურაში აგრეთვე მათემატიკაში წერითი სამუშაოები ჩატარონ
დადგენილი რაოდენობით, განუხრელად დაიცვან ამ დარგში არსე-
ბული ნორმები და სახეები, გულდასმით გაასწორონ წერითი ნა-
მუშევრები და ავარჯიშონ მოსწავლეები შეცდომების გასწორე-
ბაზე.

გ) ყოველდღიურად აწარმოონ მუშაობა მოსწავლეთა ზეპირი და
წერითი შეტყველების კულტურისა და საერთოდ აკადემიური წარ-
მატების ამაღლებისათვის.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ განათლების სამინიტროს
კოლეგიის მიერ თავის დროზე იყო მიღებული სათანადო ზომები
იმ დამახინჯებათა გამო, რაც სასწავლო წლის განმავლობაში გა-
მოვლინებული იყო სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაო-
ბაში.

5. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ
გაუწიოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს საჭირო კონტროლი,
ხელმძღვანელობა და დამარტინი ახალი, 1949—1950 სასწავლო
წლისათვის მზადების საქმეში, აგრეთვე ამ სკოლების მდგომარე-
ობისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლის
საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი ვ. კუპრაშვილი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2711

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 20 აგვისტო.

შუალა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მეერ 1949—50 სას—
წავლობრივი წლისათვის ჩატარებული სამზადისის ზესახმდ.

შემოწმებით დადასტურდა, რომ მთელი რიგი რაიონების მუშა—
ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლები 1949—50 სასწავლო
წლის სამზადისს დროულად შეუდგნენ და ახალ სასწავლო წელს
მომზადებული ხვდებიან.

ჩატარებულია სკოლის გარეშე დარჩენილი ახალგაზრდობის—
აღრიცხვა, დაზუსტებულია სკოლებში და ცალკეულ კლასებში—
ჩასაბმელი კონტინგენტი, დაკომპლექტებულია კლასები მოსწავლეთა
სათანადო რაოდენობით, სკოლები ძირითადიდ მომარაგებული
არიან სახელმძღვანელოებით და საჭირო სასწავლო ნივთებით, ხოლო
რიგი სკოლები მომარაგებული არიან სათბობითაც.

მაგრამ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა ზოგიერთი სკოლა
მომავალ სასწავლო წელს ვერ ხვდება სათანადოდ მომზადებული.
ზოგან ჯერ კიდევ არა ჩატარებული სკოლის გარეშე დარჩენილი
ახალგაზრდობის აღრიცხვა. მაგალითად, ქ. თბილისის მუშა
ახალგაზრდობის № 10 და № 12 საშუალო სკოლებს სუსტი კავ—
შირი აქვთ საწარმო-დაწესებულებებთან, სუსტიდ ატარებენ მუშაო—
ბას მუშა ახალგაზრდობის გამოვლინებისა და აღრიცხვისათვის.
ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 12 სკოლას, მცხეთის—
რაიონის სოფ. ქვედა-ნიჩისის მოზრდილთა სკოლას ირ მიუღიათ
ზომები სათბობით მომარაგებისათვის და სხვ. ქ. თბილისის მუშა
ახალგაზრდობის № 8 საშუალო სკოლაში, სტალინირის მუშა
ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში, წალკის და ზოგიერთ სხვა—
შოზრდილთა სკოლებში არ არის უზრუნველყოფილი, რომ სასწავლო
წლის დასაწყისისათვის სკოლაში მზად იყოს კარგად დამუშავებული—
სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმები.

ზოგიერთ სკოლაში არ არის მიღებული საჭირო ზომები სკოლების—
ხელსაწყოებით და რეაქტივებით უზრუნველყოფისათვის (ქ. ქუთა—
ის მუშა ახალგაზრდობის № 3 სკოლა, სტალინირის, ჩხოროწყუს—
მოზრდილთა სკოლები და სხვ.).

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში მომავალი
1949—50 სასწავლო წლის სამზადისში არსებულ ნაკლოვანებით
ვამოსწორებისა და სასწავლო წლის მომზადებულად შენვეტობის
შიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინადადება მიეცეს მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა
სკოლების ღირექტორებს:

ა) დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ სათანადო საწარმო-დაწესებუ-
ლებებს, გამოავლინონ და ჩაბაზ სწავლიში ის ახალგაზრდები,
რომლებიც თავის დროზე არ ყოფილან აღრიცხული და გამოვლი-
ნებული.

ბ) სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით დასვან
საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან საკითხი იმის შესა-
ხებ, რომ მათ ხელი შეუწყონ და დაეხმარონ სკოლებს, კერძოდ
დროულად მოამარავონ ისინი შეშით, ნავთით, ნავთის ლამპებით
და სხვ.

გ) დასვან საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან საკითხი
იმის შესახებ, რომ საღამოს და ღამის ცვლებში მომუშავე მოსწავ-
ლები გადაიყვანონ დილის ცვლაში, აღკვეთონ საზეგანაკვეთო
სამუშაოზე მოსწავლეთა ჩაბმის პრაქტიკა და სწავლის დაწყებიდან-
ვე შეუქმნან მოსწავლე მუშებს პირობები მეცადინეობაზე ნორმა-
ლურად დასწრებისათვის.

2. სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილე-
ბათა გამგებება:

ა) სისტემატურად შეამოწმონ მუშა ახალგაზრდობისა და მოზ-
რდილთა სკოლების მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისათვის და
ნაკლოვანებათა გამოვლინებისთანავე დაუყოვნებლივ მიიღონ ზო-
მები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ბ) საქალაქო და რაიონულ ხელმძღვანელ ორგანოებში დასვან
საკითხი აღნიშნული სკოლებისადმი დახმარებისა და ხელშეწყობის
შესახებ და მიაღწიონ საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი გ. კუპრაშვილი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3631

საგარეო სასრული განაცხადის სამინისტროს

1949 წლის 12 ოქტომბერი.

1948—1949 სასწავლო წელს მუშა ახალგაზრდობისა და მოზღვილობის სამუშევრების განხილვამ და უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებული მისაღები გამოცემის შედეგებმა ცხადშეკრისტიან განვითარების დონე, განმტკიცდა დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები. მეცნიერების საფუძვლების დაუფლებასთან ერთად ამაღლდა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური დონე, განმტკიცდა კომუნისტური მსოფლმხედველობა, საბჭოთა პატრიოტიზმის და საბჭოთა ეროვნული სიმაგირის გრძნობა. წერითი ნამუშევრები მკაფიოდ ასახავენ ჩვენი ახალგაზრდობის უსაზღვრო სიყვარულს და ერთგულებას ჩვენი დიალი სამშობლოსადმი.

ოქტოხა და ვერცხლის მედლებზე სკოლების მიერ წარმოდგენილ 67 კაციდან ეს საპატიო ჯილდო მიიღო 59 კაცმა, როგორც მედალისნების, ისე არამედალოსნების წერითი ნამუშევრების განხილვამ ცხადშეკრისტიან განვითარების დაუფლებულ სკოლებში წერითი მეტყველების პულტურა თანდათან მაღლდება. მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი კარგადაა დაუფლებული წიგნები დამოუკიდებლად მუშაობისა და მართლწერის წესებს. ცალკეული საგნების მიხედვით წერითი ნამუშევრები იძლევა შემდეგ სურათს:

ქართული ენა და ლიტერატურა

მუშა ახალგაზრდობისა და მოზღვილობის სკოლების მეთერთმეტე კლასების მოსწავლეთა დიდ ნაწილს მტკიცებული შეთვისებული. აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის საპროგრამო მასალა, შეგნე-

პულად ფლობს ლიტერატურულ ტექსტს, ზეპირად იცის სათანადო
 ადგილები, თავისი აზრის დასამტკიცებლად მოხერხებულადაც შემოიწვევა
 უავს ციტატები, ეტყობა ნაკითხობა და თვალთახედვის სიფარ-
 თოვე; სწორად ადგენს საწერი ირმის გეგმას და ნაწარმოებში
 იცავს შინაარსის მთლიანობას, ლოგიკურად მსჯელობს და გამო-
 ძეს სწორი დასკვნები; ემარჯვება მხატვრული და იდეური ანა-
 ლიზის გაკეთება, კარგად ფლობს გრამატიკულ წესებს და სხვა.

მაგრამ ამასთან ერთად რიგ სკოლებში ჯერ კიდევ ადგილი
 აქვს მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის დაბალ დონეს,
 მასწავლებლის მიერ საგნის სწავლებისადმი უპასუხისმგებლობა
 და მოკიდებულებას, მწერლის შემოქმედებისა და მისი ცალკეული
 ნაწარმოების ზერულება განხილვას, ფორმალიზმს სწავლებაში და
 ლიბერალიზმს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში.

მაგალითად, ქ.თბილისის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი საშუალო
 სკოლის (დირექტორი ვახტანგ მშეველიძე, მასწავლებელი ოუბა
 კვატაშიძე) მოსწავლის მ.დაუშვილის ნამუშევარში ფურცელნახე-
 ვარჩე დაშვებულია 38 გრამატიკული შეცდომა, ნაწერის აზრი ბუნ-
 დოვანია, ხოლო წინადადებები გაუმართავი, კალიგრაფია კი ცუ-
 დი. მიუხედავად ყოველივე ამისა, ნამუშევარი შეფასებულია „სამ-
 ზე“. ამავე სკოლის მოსწავლის ნუნუ შარმანიშვილის ნამუშევარში
 40 გრამატიკული შეცდომაა, თემაზე პასუხი გაცემულია არასწო-
 რად, მაგრამ შეფასებულია „სამზე“. მოსწავლე ავთანადილ ამაშუ-
 კელის წერით ნამუშევარში მასწავლებლისა და კომისიის წევრთა
 მიერ გაუსწორებელია 28 შეცდომა. თემაზე „ბუნება ვაუ ფშა-
 ველას შემოქმედებაში“ მოსწავლე ამაშუკელი სწერს: „სრულებითაც
 არა ვაუ სრულებითაც არ აიგივევებს, ბუნებას ღმერთთან და ბუ-
 ნებას არ იღმერთებს“, „ბუნება ვაუს ეზრით არც ღმერთთან და არც
 მისი ლანდია“, „მაგრამ ბუნების ყოველი წევრი ერთმანეთთან ურ-
 თიერთ მჭიდრო კავშირში იმყოფებიან და აი ამ წევრებს, ამ საგ-
 ნებს ერთმანეთსავან მოწყვეტა წარმოუდგენლად მიაჩინად“, „ბუნე-
 ბა ეს ის ძუძუს დაულეველი რძეა, რომლითაც იკვებება თვით
 ადამიანი“, „იგი მზად არის ყოველგვარი დახმარება გაუწიოს მას
 თუნდ შეეწიროს ამ დახმარების შესრულებას“. ეს შეცდომები მა-
 სწავლებლის მიერ შენიშნული არაა. ასევე გაუსწორებელია ამავე
 სკოლის მოსწავლეების ლილი სოხაძის, ნუნუ ალავიძის, სერგო
 ფანცულიას წერითი ნამუშევრები.

თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-6 საშუალო სკოლის (ყოფი-
 ლი დირექტორი იროდიონ ბუგიანიშვილი) მოსწავლის მაყვალ-
 ძელივიძის საგამოცდო წერითი ნამუშევარი თემაზე „გ. ტაბიძის

“შემოქმედება” ზერელედ და სუსტად არის დამუშავებული, მასში საკმაოდ არ არის გაშუქებული პოეტის საბჭოთა პერიოდის შემოქმედება. წარმოდგენილ ნამუშევარში მოსწავლეს დაშვებული აქციური ენობრივი შეცდომები, ვერ ახერხებს აზრის ნათლად გაღმოცემას. მაგალითად, იგი წერს: „პოეტი გრძნობდა და განიცდიდა იმ დიად სახალხო მოძრაობის საპასუხოდ მეფის მიერ გამომუშავებულ მტარ-ვალურ ზომებს“, „მის ირგვლივ უკუნი და წყვდიადი სახე მოელი საშინელებით ჩაიწვა“. მოსწავლე ხმარობს ისეთ არასწორ გამოთქმას, როგორიცაა: „ინვიდუალური განცდების პოეტი“ და სხვ. ასეთივე სუსტ შთაბეჭდილებას სტოვებს იმავე სკოლის მოსწავლის ვლადიმერ წირლვავას ნამუშევარი, რომელშიც შეცდომები მასწავლებლის მიერ გაუსწორებელია.

ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი გიორგი მაჭავარიანი, მასწავლებელი ქეთევან კუბლაშვილი) მოსწავლის ნუცა ჭუმბურიძის ნამუშევარი ღარიბია შინაარსით, მოსწავლე ვერ ახერხებს აზრის ნათლად გამოთქმას. მაგალითად, იგი წერს: „ეგ. ნინოშვილი ეკუთხნოდა ხალხს. იგი მოძმე და მონაწილე მძიმე ყოფისა, მისი მისწრაფებაა თავისიუფლებისაკენ იგი დიდი ჰუმანისტი მწერალია, რომელიც მის-ნაწარმოებში გამოსჭვივის „კაცია მუნჯაძე“ „გოგია უიშვილი“, „სიმონ ძალაძე“ იმ საზოგადოების წარმომადგენლებია“. ასევე ბუნდოვანია იმავე სკოლის მოსწავლის ჩირაძის ნაწერი. მაგალითად, იგი ხმარობს ასეთ წინადაღებებს: „ეს სიტყვები კიდევ მეტ სიმართლეს შეიცავენ საშინელ საქართველოს სინამდვილეს“ და სხვ.

თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-7 საშუალო სკოლის (დირექტორი ტიმოთე მაღლაფერიძე, ყოფ. მასწავლებელი სიმონ სხირტლაძე) მოსწავლის გაიოზ ზავერზაშვილის ნამუშევარი (თეთრი) დამთავრებული არ არის, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონია დაწერილი ისიც ექვსი უხეში შეცდომით. მასწავლებლის მიერ შეფასებული და ხელმოწერილია შავი, რომელიც ისეთი ცუდი ხელითაა დაწერილი, რომ ძნელია მისი წაკითხვა. ამ ნაწერში მრავალი ენობრივი შეცდომაა, რომელიც ხაზგასმულიც არ არის. ამავე სკოლის მოსწავლის გიორგი ბალავაძის მიერ წარმოდგენილია ორი შავი, რომლებზეც ერთს აწერია „გიორგი“, შეორეს კი „უორა“. ამ ნამუშევრებიდან არცერთი სრულებით არ ემთხვევა არც თეთრს და არც თემას. ამ ნამუშევარში 20-ზე მეტი გრამატიკული შეცდომაა, მათ შორის უხეშიც (მაგ.: პოეზის (პოეზის), შიქმნა (შეიქმნა) და სხვ.), მაგრამ ბევრი შეცდომა ხაზგასმული არაა. ამავე სკოლის მოსწავლის ეთერი სარაჯიშვილის ნამუშევარს კომისია ასეთ შეფასებას

აძლევს: „საუკეთესოდაა დაწერილი, როგორც ენობრივად, ისე შინაარსობრივად“. ნამუშევარი შეფასებულია „ხუთზე“, მაშინ და დესაც მასში 37 შეცდომაა ენობრივი და პუნქტუაციური.

ლაგოდეხის მოხრდილთა საშუალო სკოლის (დირექტორი გრიგოლ წიქარიშვილი, მასშიავლებელი ნინო ბალიაშვილი) მოსწავლეთა ნამუშევრებს აწერია: „საბაკეტო (?) სამუშაო ქართულ ენასა და ლიტერატურაში“. ამ სკოლის მოსწავლეები სუსტად ერკევებინ თვემაში, ვერ იცავენ ნამუშევარში შინაარსის მთლიანობას და ვერ ახერხებენ ნაწარმოების იდეურსა და მხატვრულ ანალიზს.

რუსული ენა და ლიტერატურა

აბიტურიენტების საგრძნობ ნაწილს შეგნებულად აქვს შეთვისებული რუსული ლიტერატურის კურსი. მათ ნათელი წარმოდგენა აქვთ რუსული ენის წყობასა და გრამატიკულ ფორმებზე, უნარი შესწევთ ლოგიკურად და გრამატიკულად სწორად ააგონ ზეპირი და წერილობითი სიტყვა, დამაკმაყოფილებლად არიან დაუფლებულნი პრაქტიკულ სასაუბრო ენას. მაგრამ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს სერიოზულ ნაელოვანებებსაც, რომლებიც ჯერ კი დავ ახლავს რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. მასწავლებელთა სუსტი მუშაობის შედევრად ზოგიერთ სკოლაში დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე. მათ ნამუშევრებში, რომლებიც ყოველთვის არაა გასწორებული მასწავლებელთა მიერ, ხშირია უხეში სტილისტური პუნქტუაციული და აზრობრივი შეცდომები, მაგალითად: ქ. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-3 საშუალო სკოლის (დირექტორი დავით კუბლაშვილი, მასწავლებელი იური მდივანი) XI კლასის მოსწავლე ბაირამოვა წერს: „Идея романа „Мать“ в том, что человек имеет право совершать все, что он захочет, хотябы ценой унижений и страданий других“.

სუსტია მუშა ახალგაზრდობის მე-6 საშუალო სკოლის (მასწავლებელი ანა ზილბერბერგი) მოსწავლე ვ. ავლევის ნამუშევარი თემაზე: „Маяковский—великий патриот своей родины“. ამ ნამუშევარში მრავლად მოიხვება მასწავლებლის მიერ გაუსწორებელი შეცდომები. მაგ., „Предчувствие“, „великолепным образом служения народу“, „писатели должны отдать все свое творчество служению отечества“. და სხვ. ასევე სუსტია ამავე სკოლის მოსწავლის ლეონ არუთინოვის ნამუშევარი. გარდა პუნქტუაციური შეცდომებისა, გვხდება ორთოგრაფიული შეცდომებიც: „Экзаменационная“, „лошадинное“, „адержать“ და სხვ., რომლებიც მასწავლებლის მიერ გაუსწორებელია. ამავე სკოლის მოსწავლეების

თამარ არდიშვილისა და ნათელა ადამიას წერითი ნამუშევრები
ერთმანეთის ასლია, რაც მასწავლებელს არ შეუმჩნევია და ოქუთა
ნამუშევარი შეფასებულია „4“-ზე.

მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა

გასულ წელთან შედარებით ჩვენს სკოლებში საგრძნობლად ამაღ-
ლდ მოსწავლეთა მათემატიკური კულტურა, მოსწავლები შეგნე-
ღულად იყენებენ გარდაქმნათა რაციონილურ ხერხებს, ისინი დაუ-
ფლებული არიან გინტოლების შედგენით ამოცანების ამოხსნას,
მართებულად აჭარმოებენ შილებული ფესვების ვარგისიანობის
ან უვარვისობის დასაბუთებას ამოცანის პირობების მიხედვით,
კარგად იყენებენ ტრიგონომეტრიის ფორმულებს გეომეტრიული
ამოცანების ამოსასნელად, კარგად ფლობენ ნახაზების აგების ტე-
ქნიკას ამოცანის პირობების შესაბამისად, აგრეთვე დალაგებისა
და ლოგარითმულ გამოანგარიშებათა ტექნიკას.

მაგრამ ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხერილი
მათემატიკის სწავლებაში ყველა ნაცლოვანება, რაც მასწავლებლისა
და სკოლის ხელმძღვანელობის თავისი საქმისაღმი ზერელ დამოკი-
დებულებას უნდა მიეწეროს. მიგალითად, ზოგიერთი მოსწავლის
ნამუშევარი ურეცენზიონდ არის წარმოლენებილი, ადგილი აქვს ნა-
მუშევართა არაობიერტიურ შეფასებას (გორის მუშა ახალგაზრდო-
ბის საშუალო სკოლა, თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-7 სა-
შუალო სკოლა და სხვ.). გორის მუშა ახალგაზრდობის საშუალო
სკოლაში (დირექტორი ნიკოლოზ ჩუბინიძე, მასწავლებელი სერგო
დადიანიძე) მოსწავლეთა დიდ ნაწილს ნამუშევარი ერთნაირად
აქვს შესრულებული, მაგრამ ზოგი „3“-ზე შეფასებული და ზოგი
„2“-ზე. ეს გარემოება, ცხადია, მით არის გამოწვეული, რომ ნამუ-
შევრები დამოუკიდებლად არაა შესრულებული, ნიშნები კი წინა
შთაბეჭდილებითაა დასმული. მოსწავლეების ქურდაძის, დალაქი-
შვილის, ყასაბოვისა და სხვების გეომეტრია-ტრიგონომეტრიის ნა-
მუშევრებში მასწავლებლის მიერ არ არის აღნიშნული არც ერთი
შეცდომა და ეს ნამუშევრები შეფასებულია „3“-ზე. ცხადია, რომ
ამ სკოლაში ვერ შეუქმნიათ ისეთი პირობები, რომ ადგილი არ
ჰქონიდა გადაწერას.

განსაკუთრებით სუსტია თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-6 სა-
შუალო სკოლის (დირექტორი ბუგაინვილი, მათემატიკის მასწავ-
ლებელი იაკობ გევორქიანი, გამომცდელი მასწავლებელი იაკობ
ვერშეკოვსკი) მოსწავლეთა მომზადება მათემატიკაში. მაგალითად,

მოსწავლე არტემ ამირხანოვმა არ იცის სიჩქარის გამოსახვა, ფესვების ანალიზს აკეთებს თრასწორად, მას არ ესმის, რა მიიღო: სიჩქარე თუ დრო, არ უვარება შემოწმება, ვერ განსაზღვრავს ბინომის განმჯრივის საძებნ წევრს. ნამუშევარი მასწავლებლისა და ქომისის მიერ შეფასებულია „3“-ზე. ასევე სუსტია მოსწავლის ელადიმერ ავოევის წერითი ნამუშევარი ალგებრაში. ავოევი უშვებს ისეთ შეცდომებს, რომ, უნდა ვითიქროთ, გადაწერას ჰქონდა ადგილი. ამასთან იგი ხშირად უშვებს ენობრივ შეცდომებს, მასწავლებელი კი შეცდომებს არ ასწორებს.

ზესტაცონის მოზრდილთა საშუალო სკოლის (დირექტორი ალექსანდრე გაჩეჩილაძე, მასწავლებელი სეით ჭულუხაძე). ზოგიერთი მოსწავლე ვერ არის გარკვეული უარყოფითი ფესვის უვარგისობის დასაბუთებაში.

გეომეტრიული ამოცანა ბრუნვაზე ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ამოხსნილი. მოსწავლეები არ არიან დაუფლებული ლოგარითმულ გამოანგარიშებებსა და ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამოხსნას, ტრიგონომეტრიული განტოლების ამოხსნისას მოსწავლეთა ნაწილი არ იძლევა მიღებული ფესვების შემოწმებას.

წალკის მოზრდილთა საშუალო სკოლის (მასწავლებელი ლიმიტრი ყარიბოვი) მოსწავლეების ნამუშევრებს ერყობა გადაწერა, რაც მასწავლებელს არ შეუმჩნევია. ალგებრის მაგალითები მოსწავლეთა უმრავლესობას ვერ დაუძლევია, ისინი ვერ აკეთებენ ფესვების ანალიზს ამოცანის პირობების მიხედვით. გეომეტრიული ამოცანა თთქმის ყველა მოსწავლეს უმართებულო გზით აქვს ამოხსნილი და ყველას ერთნაირად. ტრიგონომეტრიული განტოლების ამოხსნისას არც ერთ მოსწავლეს არა აქვს მოცემული კუთხის ზოგადი სახე და ასეთი ნამუშევრები „3“-ზე და „4“-ზეა შეფასებული. საერთოდ წალკის მოზრდილთა საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები მათემატიკაში დაბალ ცოდნას ამჟღავნებენ, რაც მასწავლებლის ცუდ მუშაობას უნდა მიეწეროს.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგებს, უნდა ალინიშნოს, რომ მიმდინარე წელს მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა გაცილებით უკეთესი მომზადება გამოიჩინეს, ვიდრე წინაწლებში. სულ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში (სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ზოოგეტერინალური ინსტიტუტი და სხვ.) მიმდინარე წელს მისაღებ გამოცდებზე მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა

საშუალო სკოლების კურს დამთავრებულ 321 აბიტურიენტიდან
188 კაცმა, ე. ი. 59 პროცენტია ყველა საგანში წარმატებით ჩატარებულ
რა გამოცდები. კერძოდ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტი-
ტუტში გამოცდებს აბარებდა 42 კურსდამთავრებული, ქვედან გა-
მოცდები ჩაბარა ყველა საგანში 40 აბიტურიენტმა, ე. ი. 95,4 პროც.
სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდებს აბარებდა 81 აბიტური-
ენტი, ჩაბარა გამოცდები 51 კაცმა, ე. ი. 63 პროც. პოლიტექ-
ნიკურ ინსტიტუტში გამოცდებს აბარებდა 46 კაცი, ჩაბარა 26
კაცმა, ე. ი. 56,5 პროც. რეინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინს-
ტიტუტში გამოცდებს აბარებდა 25 კაცი, ჩაბარა გამოცდები 14
კაცმა, ე. ი. 64 პროც. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოც-
დებზე კარგი წარმატება გამოიჩინეს ლამარა კინაძემ (თბილისის
მუშა ახალგაზრდობის მე-11 საშუალო სკოლა), რომელმაც სახელმ-
წიფო უნივერსიტეტში გამოცდებზე მიიღო ქართულ ენასა და
ლიტერატურაში „4/5“, „დანარჩენ საგნებში „ხუთები“, ოეომურაზ
სახაროვმა (თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლა),
რომელმაც სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ გამოცდებზე
ქართულ ენასა და ლიტერატურაში მიიღო „5“, რუსულ ენასა და
ლიტერატურაში „4/5“, „უცხო ენასა, სსრ კავშირის ისტორიასა
და კონგრაფიიში „ხუთები“, ასეთივე წარმატება გამოიჩინეს თენციზ
კაცმაძემ და შოთა დევდარიანნა (თბილისის მოზრდილთა მე-4
საშუალო სკოლა), ლუიზა მარტოლექსმა (თბილისის მუშა ახალ-
გაზრდობის მე-2 საშუალო სკოლა), ვაჟა ჯანაშვილმა (ბათუმის მუშა
ახალგაზრდობის დაუსწრებელი საშუალო სკოლა), გური ებრალიძემ
(ლაბნიხუთის მოზრდილთა საშუალო სკოლა), ვასილ პაპიაშვილმა
(წითელწყაროს მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა), ვახტანგ
ბუაძემ (ბათუმის მოზრდილთა სკოლა), დარია თეთრაძემ (თბილი-
სის მუშა ახალგაზრდობის მე-5 საშუალო სკოლა).

მაგრამ ამასთან ერთად უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების
დროს ცუდი წარმატება გამოიჩინეს მახარაძის, ზესტაფონის, გო-
რის, ხაშურის, წალკისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მუშა ახალგა-
ზრდობისა და მოზრდილთა სკოლების ზოგიერთმა კურსდამთავრე-
ბულმა. მახარაძის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლიდან
(დირექტორი ნიკოლოზ დოლიძე, მასწავლებელი ივანე სალუქვაძე)
თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებს აბარებდა 6 კაცი,
ქვედან ჩაიჭრა 4 კაცი: რევაზ გუბელიძე, ვლადიმერ მგელაძე,
ვენერა სალუქვაძე, კარლო ხავთასი, ამათგინ კარლო ხავთასმა
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ქართულ ენასა და ლიტერატუ-
რაში სუსტი ცოდნა გამოიჩინა. მაგალითად, ნამუშევარში თემაზე

„აკაკი წერეთლის პატრიოტული ლირიკა“, იგი წერს: „წლებაზ
ითვლება“, „ეს იყო მიჯნა ბატონიშვილისა და კაპიტალიზმის მატზე გადებს შორის. როდესაც ინსხერეოდა პირეველი და ფეხს იდგამდა მეორე“, „წინაღმდეგ“, „ერთათ“, „სიმართლე მსახურებდეს“, „ელეგიაში „აღმართ-აღმართ“, საქართველო გამოხატულია სტრა-
ტი სახით“, „პოეტი სერჩე შესდგა, აქ ერთგვარი სიამოვნება იგრ-
ძნო მაგრამ მას სატრფოზე დარდი დატყვებს“ და სხვ.

ზესტაფონის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ივანე ბერძენი) მასწავლებელი გუგული გეჩეჩილადე) თბი-
ლისის უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებს აბარებდა 8 კაცი,
აქედან ჩაიჭრა 3 კაცი (ბიძინა სამხარადე, ვაჟა ქლიბადე, ნუნუ
ბოგვერადე).

ზესტაფონის მოზრდილთა საშუალო სკოლიდან (დირექტორი ალექსანდრე გაჩეჩილადე, მასწავლებელი თინა იაკობაშვილი, გამომ-
ცდელი მასწავლებელი მარო ჩიქოვანი (თბილისის უმაღლეს სასწავ-
ლებლებში გამოცდებს აბარებდა ორი კაცი და ორივე ჩაიჭრა
(ლევან დათარაშვილი, ოთარი ბაკურადე), ამათგან ლევან დათარაშვილი
ძლიერ სუსტია. ის წერს: „დაგამოხვრე ქ. ზესტაფონის მოზრდილთა
საშ: სკოლა“, „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარ-
ჯვებამ და საბჭოთა კავშირის დამყარებამ ჩევნს ქვეყანაში“. თავის
შრომას იგი ასე ამთავრებს: „ასევე აღსანიშნავია ლეო ქიაჩე-
ლის ნაწარმოები „გვადი ბიგვა“ რომელშიდაც მოცემულია ჩევნი
ქვეყნის აღმზრდელობითი პოლიტიკა და სიმტკიცე. ასევე სოცია-
ლისტური მშენებლობა მოცემული აქვს სხვა მთელ რიგ ქართველ
მწერლებისაც“. ამავე სკოლის კურსდამთავრებული ოთარი ბაკურადე
შრომაში „აკაკი წერეთლის პატრიოტული ლირიკა“ წერს: „აკაკი
წერეთლის მთელი რიგი მიმართულია სამშობლოსადმი, ა. წერეთ-
ლის მთელ რიგ ლექსებში გამოხატული არის სამშობლოსადმი
უანგარო და გულწრფელი სიყვარული“, „აკაკი წერეთლის ლექსებში:
განთიადი, ელევია, ჭალარა და სხვაში“. ამ მოსწავლეს რევულის
ერთ ფურცელნახევარზე დაშვებული აქვს 28 პუნქტუაციური შეც-
დომა.

ხაშურის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის (დირექტორი
გიორგი ჯიქურაშვილი, მასწავლებელი ვენერა დონდუა) კუურსდამ-
თავრებულებიდან უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებს აბარებდა
7 კაცი, ჩაიჭრა 3 კაცი (ვლადიმერ კიკნაძე, შოთა ლონლაძე, ნოდარ
მამიაშვილი) მათ შორის ლონლაძეს და კიკნაძეს ატესტატში ქარ-
თულ ენასა და ლიტერატურაში აქვთ ნიშანი „4“, ხოლო სახელ-
მწიფო უნივერსიტეტში საგამოცდო წერა შესრულებული აქვთ

„2“-ზე. ნოდარ მამიაშვილი გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში სრულ უცოდინარობას იჩენს. იგი თავის შრომებში „ქალთა ტიპები რუსთავლის „ვეფხის ტყაოსანში“ სწერს: „შოთა რუსთაველი არის XII საუკუნის თვალსაჩინო გამოჩენილი პოეტი, რომელსაც საკმაო აღგილი უჭირავს XIII საუკუნის მწერლობაში. მის მთავარ პოპულარულ პოემას წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“. ამ ნაწარმოებში მოსწავლის მიერ დაშვებულია 25 შეცდომა.

წულუჯიძის მოხრდილთა სკოლიდან (დირექტორი ევგენი გალდავა, მასწავლებელი ზინა შეელიძე) უმაღლეს სასწავლებელში გამოცდას აბარებდა 7 კაცი, ჩაიჭრა ოთხი მოსწავლე (ოთარ ჭავჭანიძე, გიორგი ზერავია, რაფენ ჩიხლაძე, მირიან ხობუა). ამათგან ზერავიას ქართულ ენასა და ლიტერატურაში ატესტატში აქვს ნიშანი „4“, ხოლო სამედიცინო ინსტიტუტში გამოცდაზე იმავე საგანში მიიღო „2“.

ზუგდიდის მოხრდილთა საშუალო სკოლიდან (ყოფ. დირექტორი გრიგოლ შონია, მასწავლებელი ლენა ყალიბაძე) უმაღლეს სასწავლებელში გამოცდას აბარებდა სამი მოსწავლე, სამივე ჩაიჭრა (ინდიკი ჯალალანია, გიგი ხასია, სერგო ჩაჩიბაძია). ამათგან გრივი ხასიას ატესტატში ქართულ ენასა და ლიტერატურაში აქვს ნიშანი „4“, ხოლო გამოცდაზე სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო ნიშანი „2“. მისი ნამუშევარი შედგება ათი სტრიქონიდან და დაშვებული აქვს 6 შეცდომა.

თბილისის მუშა ახალგაზრდობის 1-ლ საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვახტანგ მშეელიძე, მასწავლებელი გიორგი მიროფოლოვი) უმაღლეს სასწავლებელში გამოცდებს აბარებდა 16 კურსდამთავრებული, რომელთაგან გამოცდები ვერ ჩააბარა 7 აბიტურიენტმა. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულმა იგორ ბელეცკიმ, რომელსაც ატესტატში მათემატიკაში აქვს ნიშანი „4“ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე მათემატიკურ საგნებში მიიღო ნიშანი „2“.

თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-3 საშუალო სკოლიდან (დირექტორი დავით კუბლაშვილი, მასწავლებელი ლავრენტი ჭიჭინაძე) უმაღლეს სასწავლებელში გამოცდებს აბარებდა 10 მოსწავლე, რომელთაგან გამოცდა ხუთმა ვერ ჩააბარა. მოსწავლე ქეთო ნერსესოვას ატესტატში ქართულ ენასა და ლიტერატურაში აქვს ნიშანი „4“, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გამოცდაზე კი მან იმავე საგანში მიიღო „2“.

თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-6 საშუალო სკოლიდან (ყოფ. დირექტორი იროდიონ ბუგიანიშვილი) უმაღლეს სასწავლებელში

გამოცდებს აბარებდა 13 კურსდამთავრებული, საჭირო წარმატება ვერ გამოიჩინა 4 აბიტურიენტმა, რომელთაგან აღექსანდრე ქურაძე მემკვიდრეობებმა, რომელსაც ქართულ ენასა და ლიტერატურაში ატენტატში აქვს ნიშანი „4“, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გამოცდებზე იმავე ხაგანში მიიღო ნიშანი „2“.

თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-7 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ტიმოთე მაღლაფერიძე, სასწავლო ნაწილის გამგე ვლადიმერ წულაძე) უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებს აბარებდა 11 კურსდამთავრებული და ჩაიჭრა ორი. მათ შორის მოსწავლე მერი ჩხაიძემ, რომელსაც ქართულ ენასა და ლიტერატურაში აქვს ნიშანი „4“, სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდებზე ქართულ წერაში მიიღო „2“.

თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-10 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვლადიმერ კუჭაიძე, ყოფ. მასწავლებელი თენგიზ გურგენიძე) უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებს აბარებდა 9 აბიტურიენტი, ჩაიჭრა ორი. მათ შორის აბიტურიენტებმა ცისანა ჩხიკვიშვილმა და აღექსანდრე შაიშმელაშვილმა ყველა საგანში გამოცდები „4“-ზე და „5“-ზე ჩააბარეს. მაგრამ კურსდამთავრებულმა გურამ კობალაძემ, რომელსაც სიმწიფის ატესტატში ქართულ ენასა და ლიტერატურაში აქვს ნიშანი „4“, სახელმწიფო უნივერსიტეტში მისალებ გამოცდებზე ქართულ წერაში მიიღო „2“.

თბილისის მოზრდილთა 1-ლი სომხური საშუალო სკოლის მე-11 ქლასის მოსწავლეთა სიმწიფის ატესტატშე გამომცდელი კომისიის მიერ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები არაობიერტურად იყო შეფასებული. ოქროსა და ვერცხლის მედლებით დასაჯილდოებლად წარმოდგენილი ოთხი მოსწავლიდან, განათლების სამინისტროს მიერ მათი წერითი ნამუშევრების რეცენზირების შედეგად, ოთხივეს უარი ეთქვა (კომისიის თავმჯდომარე, სკოლის დირექტორი სამუელ არუთინოვი, მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი კორგან აზრობინი, კომისიის წევრები: ქ. აგაბაბიანი, ა. აკოფიანი და ლ. გაბუნია).

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა საშუალო სკოლებში არსებული ნაკლოვანებანი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა ამ სკოლების კლასების დაკომპლექტებას სათანადო ცოდნის მქონე მოსწავლეთა კონტინგენტით. ამ სკოლების ზოგიერთი მასწავლებელი არ ითვალისწინებდა მოზრდილებთან მუშაობის თავისებურებას, არ ზრუნავდა თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სისტემატურად არ იბრძოდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისათვის.

მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ვერ უზრუნველქმყო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორი ორგანიზაცია, სუსტად იბრძოდა გაკვეთილის ხარისხის ამაღლებისათვის, არ ასრულებდა წერითი სამუშაოების ნორმებს, გველილი მისალის სისტემატურად გამეორებას, არ ზრუნავდა ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის დახმარების გაწევაზე, არ ახდენდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ობიექტურად შეფასებას.

ამასთანავე მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგები არ უწევდნენ მასწავლებლებს სათანადო მეთოდურ დახმარებას, იშვიათად ესწრებოდნენ მათ გაკვეთილებს, სისტემატურად არ ახდენდნენ შენიშვნული ნაკლის განხილვას პედსაბჭოს სხდომებზე და არ სახავდნენ ლონისძიებებს მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

სახალხო განათლების ზოგიერთი განყოფილება არ ითვალისწინებდა ამ სკოლების მუშაობის სირთულეს, არ უწევდა მათ საჭირო კონტროლსა და დახმარებას, განსაკუთრებით გამოცდების მიმდინარეობის პერიოდში და საგამოცდო ნამუშევრების შეფასების საქმეში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. ჩამოყენებულ იქნან V—VIII კლასების მასწავლებლად:

1. თბილისის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლუბა კვატაშიძე XI კლასის მოსწავლეთა ცუდი მომზადებისა და სიმწიფის ატესტატზე ჩატარებული წერითი ნამუშევრების ზერელედ გასწორებისათვის.

2. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-6 საშუალო სკოლის მათებატიკის მასწავლებელი იაკობ გევორქიანი XI კლასის მოსწავლეთა ცუდი მომზადებისა და სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა ცოდნის არაობიექტურად შეფასებისათვის.

3. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-6 საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ანნა ზილბერბერგი XI კლასის მოსწავლეთა ცუდი მომზადებისა და სიმწიფის ატესტატზე ჩატარებულ წერითი ნამუშევრების ზერელედ გასწორებისათვის.

II. XI კლასის მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დაბალი დონისა და სათანადოდ მოუშადებლობისათვის, რაც გამომჟღავნდა სიმწიფის ატესტატზე ჩატარებული წერითი ნამუშევრების რეცენ-

ზირებისა, და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე, გრ
მოეცხადოს საყვედური:

საქართველოს
სამთხუამდებრი

1. ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლის XI
კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ქეთევან
კუბლაშვილს.

2. მახარაძის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექ-
ტორს ნიკიფორე ლოლიძეს.

3. ზუგდიდის მოზრდილთა საშუალო სკოლის XI კლასის ქარ-
თული ენისა და ლიტერატურის ყოფილ მასწავლებელს ელენე ყა-
ლიჩავას.

4. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-3 საშუალო სკოლის რუ-
სული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს იური მდივანს.

5. წალკის მოზრდილთა საშუალო სკოლის XI კლასის მათემატი-
კის მასწავლებელს დიმიტრი ყარიბოვს და XI კლასში სიმწიფის
ატესტატზე მათემატიკაში გამომცდელ მასწავლებელს ქრისტეფო-
რე კირიაკოვს.

6. თბილისის მუშა ახალგაზრდობის 1-ლ საშუალო სკოლის XI
კლასის მათემატიკის მასწავლებელს გიორგი მიროფოროვს.

III. გამოეცხადოს საყვედური თბილისის მოზრდილთა 1-ლი სომ-
ხური საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეთა სიმწიფის ატეს-
ტატზე გამომცდელი კომისიის თავმჯდომარეს სკოლის დირექტორს
სამუელ არუთინოვს, ხოლო კომისიის წევრებს მასწავლებლებს კორ-
გან აზრიანს (მშობლიური ლიტერატურის მასწავლებელი), კარა-
პეტ აგაბაძიანს, აიკ აკოფიანს და ლიდა გაბუნიას (რუსული ენის
მასწავლებელი) მიეთითოს მოსწავლეთა მედლებით დაუმსახურებ-
ლად დაჯილდოების მიზნით მათი წერითი ნამუშევრების არაობი-
ექტური შეფასებისათვის.

IV. სიმწიფის ატესტატის მისაღებ საგამოცდო კომისიებზე სუ-
სტი ხელმძღვანელობისათვის, რის შედეგად ადგილი ჰქონდა ზოგი-
ერთ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ლიბერალურ შეფასებას

მიეთითოს:

1. თბილისის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი საშუალო სკოლის დი-
რექტორს გახტანგ მშვედიძეს.

2. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-3 საშუალო სკოლის დირე-
ქტორს დავით კუბლაშვილს.

3. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-7 საშუალო სკოლის დი-
რექტორს ტიმოთე მალლაფერიძეს.



4. თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-10 საშუალო სკოლის დირექტორს ვლადიმერ კუპაიძეს.

5. ზესტაფონის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს ივანე ბერაძეს.

6. ზესტაფონის მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორს ალექსანდრე გაჩეჩილაძეს.

7. ხაშურის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს ვიორგი ჯიქურაშვილს.

8. ლაგოდეხის მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორს გრიგოლ ჭიქარიშვილს.

9. ზუგდიდის მოზრდილთა საშუალო სკოლის ყოფ. დირექტორს გრიგოლ შონიას.

10. გორის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს ნიკოლოზ ჩუბინიძეს.

11. წულუკიძის მოზრდილთა საშუალო სკოლის დირექტორს ვავენი გალდავას.

V. სიმწიფის ატესტატის მისამებ მოსწავლეთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების ლიბერალურ შეფასებისათვის მიეთითოს:

1. გორის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს სერგო დადიანიძეს.

2. ზესტაფონის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს გუგული გაჩეჩილაძეს.

3. ხაშურის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ვენერა ღონიშვილს.

4. ზესტაფონის მოზრდილთა საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს თინა იაკობაშვილს და XI კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში სიმწიფის ატესტატზე გამომცდელ მასწავლებელს მარო ჩიქოვანს.

5. წულუკიძის მოზრდილთა საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ზინაიდა შველიძეს.

6. მახარაძის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ივანე სალუქვაძეს.

VII. მიღებული იქნეს ცნობად, რომ თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-6 საშუალო სკოლის ყოფ. დირექტორს იროდიონ ბუგიანიშვილს და XI კლასში სიმწიფის ატესტატზე მათემატიკაში გამომცდელ მასწავლებელს იაკობ ვერშეკოვსკის დადებული აქვთ სასჯელი.

VII. დაევალოს კადრების განყოფილებას კადრების გადაჯგუფების დროს გაითვალისწინოს ამ ბრძანებაში აღნიშნულ მასწავლებელთა სუსტი მუშაობა და მოახდინოს მათი სათანადო ჩამოქვეითება.

VIII. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ შეამოწმოს ზესტაფონის მოზრდილთა საშუალო სკოლის მდგომარეობა და მუშაობა, კერძოდ მათემატიკის და ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დაყენება.

IX. აფხაზეთსა და აჭარის ასსრ ავტონომიური რესპუბლიკების განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ, სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში სასწავლო-აღმზრდელთბითი მუშაობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად სისტემატურად შეამოწმონ ამ სკოლების მდგომარეობა და მუშაობა და აღმოუჩინონ მათ სათანადო დახმარება.

ბ) უზრუნველპურნ ამ ბრძანების განხილვა მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა ყველა საშუალო სკოლის პედაგვის სხდომებზე კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვით.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი გ. პუპარაძე

ბ რ ძ ა ნ ი ბ ა № 3670

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 20 ოქტომბერი.

აუსული ენის კურსებზე სწავლის დაწყების პირველ დღეებში მუშაობის მიმდინარეობის შემოწმების მასალებიდან ირკვევა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს რუსული ენის კურსებზე მუშაობა ორგანიზებულად დაიწყო. ჩამოყალიბებულია წრეები, როლებიც დაკამპლექტებულია ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომერციული ორგანიზაციების მუშაკებით, დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებლებით. 1 ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული იყო სულ 150 ჯგუფი 1783 მსმენელით.

ადგილებზე ჩამოყალიბებულ ჯგუფებში რეგულარული მეცადინეობა დაიწყო 1 სექტემბერს. მეცადინეობა მიმდინარეობს სამინისტროს მიერ დამტკიცებული ცხრილის შესაბამისად. ჯგუფების ხელმძღვანელ-მასწავლებლებად შერჩეული არიან კვალიფიციური მასწავლებლები, რუსული ენის სპეციალისტები. მაგალითად, ქ. გორიში მუშაობს მასწავლებელი ე. თარხნიშვილი—33 წლ. პედმუშაობის სტაუით, მცხეთაში—დამსახურებული მასწავლებელი ნ. გარსევანიშვილი—32 წლისა და ო. ყანჩაველი—20 წლის პედმუშაობის სტაუით, ორჯონიკიძეში—დამსახურებული მასწავლებელი ლ. ჭიპაშვილი 40 წლის და ო. კიბნაძე—45 წლის პედმუშაობის სტაუით და სხვ.

კურსები უზრუნველყოფილი არიან სახელმძღვანელოებით, რეუსლებით, სასწავლო ნივთებით, მოთავსებული არიან სკოლების შენობებში და უზრუნველყოფილი არიან განათებით, ხოლო ზამთრის სეზონისათვის გათბობითაც. რუსული ენის კურსებზე ჩაბმული პარტიული და საბჭოთა აქტივი, მასწავლებლები და ადგილობრივი ორგანოების მუშაკები რეგულარულად ესწრებიან მეცადინეობას და უმრავლეს შემთხვევაში წარმატებით ეუფლებიან პრაქტიკულ სალაპარაკო ენას.

სახალხო განათლების განყოფილებები პრაქტიკულად ეხმარებონ
კურსებს ყოველდღიურ მუშაობაში. ჩხოროწყვს რაიონის ჭრაში ნათლების განყოფილების გამგე ნ. გობეგია პირადად ხელმძღვანელობს და მეთვალყურეობას უწევს კურსებზე მეცადინეობის მიმდინარეობას. ოპერატორულად ხელმძღვანელობენ და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ კურსებს აგრეთვე ქ. ქუთაისის, ქ. ფოთის, ტყიბულის, გორის, ლაბანჩუთის, ონის, თეთრიწყაროს, წყალტუბოს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები. ზოგან აღვილებზე ხელმძღვანელი ორგანოები ყურადღებით ეკიდებიან რუსული ენის კურსებს და ხელს უწყობენ მათ მუშაობაში. მაგალითად, გალის პარტრადიკომისა და აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკები რეგულარულად ესწრებიან მეცადინეობას და ყოველმხრივად ხელს უწყობენ კურსების მუშაობას. აღვილობრივი ორგანოების ხელშეწყობის შედეგად ჯგუფებში კარგია მსმენელთა დასწრება და პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისება. მაგალითად, ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონში № 1 სამშობიარო სახლთან არსებულ ჯგუფში, რომელსაც ხელმძღვანელობს მასწავლებელი ი. წერეთელი, 33 წლის ჰერმუშაობის სტაჟით, მეცადინეობას სისტემატურად ესწრება 14 მსმენელი. კარგად მუშაობს აგრეთვე თბილისის ორჯონიძისის სახ. რაიონში არსებული ჯგუფი ი. დოლიძის ხელმძღვანელობით, რომელშიც მეცადინეობას რეგულარულად ესწრება 15 კაცი. ისევე კარგად მუშაობს მასწავლებელ ნ. ბალიაშვილის ჯგუფი სტალინის სახ. რაიონში.

მაგრამ ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ენის კურსების მუშაობას დასაწყისშივე ახასიათებს სერიოზული ნაკლებანებინი. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ყველგან ყურადღებით როდი მოეკიდნენ ამ საქმეს. ზოგ რაიონში დროულად არ იყო გამოვლინებული რუსული ენის სწავლებაში ჩასაბმელი კონტინგენტი. ზოგან არ არის დაცული კურსების დაკომპლექტებისათვის დადგენილი წესები და მეცადინეობის ცხრილი. მაგალითად, ბორჯომის ვაკთა საშუალო სკოლასთან არსებულ ჯგუფში გაერთიანებულია 29 მსმენელი (მასწავლებელი ნ. გურამიშვილი), თეთრიწყაროს რაიონში ორ ჯგუფში გაერთიანებულია 46 მსმენელი. მსმენელთა ახეთი დიდი რაოდენობა ერთ ჯგუფში საგრძნობლად იცნობებს ცოცხალი საუბრის მეთოდით მუშაობას, რაც აუცილებელია სასაუბრო ენის პრაქტიკულად შესწავლისათვის.

ზოგიერთ რაიონში მეცადინეობა კურსებზე დაიწყო მნიშვნელოვანი დაგვიანებით. მაგალითად, ჩხარის რაიონში მეცადინეობა დაიწყო 15 სექტემბერს, სოხუმში (ერთ ჯგუფში) — 18 სექტემბერს

და ა. შ. სამხრეთ ოსეთში 30 სექტემბერსაც კი არ იყო დაწყებული მეცადინეობა რუსული ენის კურსებზე. ზოგან ჯგუფები განვითარებული სილიკა ნაკლები რაოდენობით, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მაგალითად, აფხაზეთის ასსრ-ში გახსნილია 4 ჯგუფი, გეგმით გათვალისწინებული ხეთი ჯგუფის ნაცვლად, მახარაძის რაიონში—2 ჯგუფი ოთხის ნაცვლად, ხაშურის რაიონში—1 ჯგუფი ოთხის ნაცვლად, ცხაკაის რაიონში—ასევე 2 ჯგუფი სამის ნაცვლად, მაიაკოვსკის, თიანეთის, ახალქალაქის, ჩოხატაურისა და ჩხარის რაიონებში—თითო ჯგუფი ორ-ორის ნაცვლად. არის რაიონები, საღაც რუსული ენის კურსები, მიუხედავად მიღებული ზომებისა. ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული. მაგალითად, ქ. ჭიათურასა და რუსთავში, ზუგდიდის, გურჯაანის, საგარეჯოს, ზემო და ქვემო სვანეთის, საჩხერის, ჭიათურის, მარნეულის, გარდაბანის, იღიგენისა და ბოგდანოვკის რაიონებში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული არც ერთი ჯგუფი და მეცადინეობა დაწყებული არაა.

რაიგ რაიონებში არადამატაყაყოფილებელია მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრება. მაგალითად, სილნალის, მცხეთის, ხობის რაიონებში მეცადინეობას ესწრება მსმენელთა 30-45 პროცენტი. ამასთან მეცადინეობა სწარმოებს არა ცოცხალი საუბრის მეთოდით. არამედ წიგნურ-გრამატიკული მეთოდით, გრამატიკული კატეგორიების ანალიზის მეშვეობით. იშვიათად სწარმოებს, ძირითად სახელმძღვანელოს გარდა, სხვა საკითხები მასალის, განეთების და ადვილგასაგები ისტორიულ-მხატვრული ლიტერატურის გამოყენება.

ცუდად არის დაყენებული რუსული ენის კურსების მუშაობა ქ. თბილისში. 47 ჯგუფის ნაცვლად, რაც გათვალისწინებული იყო დამტკიცებული გეგმით, დღეისათვის ჩამოყალიბებულია მხოლოდ 36 ჯგუფი. ზოგიერთი ჯგუფი ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი დაგვიანებით. მაგალითად, სტალინის სახ. რაიონში ქალთა მე-13 სკოლასთან არსებულ ჯგუფში (მასწავლებელი დ. თინიკაშვილი) მეცადინეობა 14 სექტემბერს დაიწყო. განსაკუთრებით ცუდია მდგრადი მოლოტოვის სახ. რაიონში. საღაც გეგმით გათვალისწინებული 6 ჯგუფის ნაცვლად ჩამოყალიბებულია მხოლოდ ორი ჯგუფი, რომელთაგან ერთმა მეცადინეობა დაიწყო 20 სექტემბერს, ხოლო მეორემ—7 ოქტომბერს. ცუდია მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრება. ლენინის სახ. რაიონში ალკა რაიკომთან არსებული ჯგუფი (მასწავლებელი მ. ყიფიანი) მეცადინეობას აწარმოებს კვირაში მხოლოდ ერთხელ—ორშაბათობით. ორჯონიქიძის სახ. რაი. ონში მე-8 პოლიკლინიკისთან არსებულ ჯგუფში (მასწავლებელი ა. ბუბიაძე) სიით ითვლება 17 მსმენელი, მეცადინეობას კი ეს-

წრება 3—4 კაცი. ცუდია დასწრება იგრეთვე იმავე რაიონში განთლების განყოფილებასთან არსებულ ჯგუფში. ასევი ცუდია, მეცაც ცადინეობაზე შემცნელთა დასწრება კიროვის რაიონის ქალთა შემცნელებელის სკოლასთან არსებულ ჯგუფებში (მასწავლებლები მ. ფარცხალაძე, მ. გაღამაშვილი და ვ. საბაძევა), 1-ლ სტომატოლოგიურ პოლიკლინიკასთან (მასწავლებელი თ. მრევლიშვილი) არსებულ ჯგუფში და სხვ. ზოგან ჯგუფები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით და რეესულებით. ორჯონიძისის სახ. რაიონში ჯგუფებში არ არის გრამატიკულ სავარჯიშოთა წიგნი. როგორც თბილისის საბჭოს აღმასკომის, ისე რაიონული აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ რუსული ენის კურსების მუშაობას, ვერ უზრუნველყვეს მათი დროულად ჩამოყალიბება, დაკომპლექტება და მეცადინეობაზე მსმენელთა რეგულარული დასწრება.

სახალხო განათლების ზოგიერთი საქალაქო და რაიონული განყოფილება საქმაოდ ეფუძრიურ ზომებს არ ღებულობს მეცადინეობის ნორმალურად ჩატარების უზრუნველსაყოფად და სათანადო ორგანოებში დროულად არ აყენებს მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების საკითხს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სახალხო განათლების საოლქო, საქალაქო, და რაიონულ განყოფილებათა გამგებებს:

ა) უახლოეს დღეებში შეამოწმონ რუსული ენის კურსების მდგომარეობა, გადასინჯონ უკვე ჩამოყალიბებული ჯგუფების მსმენელთა შემადგენლობა და უზრუნველჰყონ ჯგუფების სწორად დაკომპლექტება.

ბ) აღგილობრივ დაწესებულება-ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან დასვან საკითხი იმ სმენელთა შესახებ, რომლებიც რეგულარულად არ ესწრებიან მეცადინეობას; და მათთან ერთად გაატარონ ღონისძიებანი მეცადინეობაზე, მსმენელთა რეგულარულად დასწრებისათვის.

გ) ახლად ჩამოყალიბებული ჯგუფებისათვის შეარჩიონ კვალიფიციური, გამოცდილი, რუსული ენის სწავლებისა და მოზრდილებთან მუშაობის მეთოდებს დაუყოლებული მასწავლებლები.

დ) მიიღონ საქართველოში იმისათვის, რომ შეინარჩუნონ კურსებზე ჩაბმული კონტინგენტი, არ დაუშვან მსმენელთა განთხესვა და უზრუნველჲყონ მეცადინეობის გაცდენების ლიკვიდაცია.

ე) იმ ჯგუფებში, რომლებშიც მეცადინეობა დაგვიანებით დაიწყო, ჩატარონ დამატებითი მეცადინეობა საპროგრამო მასალის ნორმალურად გავლის უზრუნველსაყოფად.

3) დროგამოშვებით შეამოწმონ კურსებზე გავლილი მასალის მოცულობა და ამ მასალის შეთვისების ხარისხი, მიიღონ ზომები პრატისტული გრამით გათვალისწინებული მასალის საფუძვლიანად შეთვისების შემთხვევაში თვის, ამასთან მტკიცედ დაიცვან მეცადინეობის ლამტკიცებული ცხრილი.

4) ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებში პერიოდულად დასვან საკითხი რუსული ენის კურსების მუშაობის სათანაბროდ წარმართვისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარების შესახებ.

5) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება რუსული ენის კურსების მუშაობაზე და შესაფერისი ზომების მიღებით უზრუნველყოფა - ამ კურსების შეუფერხებელი და ნაყოფიერი მუშაობა.

2. აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ სახალხო განათლების ქ. თბილისის, ქ. ჭიათურისა და ქ. რუსთავის საქალაქო, ზუგდიდის, ახალქალაქის, აბაშის, გურჯაანის, ჩხარის, საგარეჯოს, თიანეთის, ზემო და ქვემო სეანეთის, ჩოხატაურის, საჩხერის, მაიაკოვსკის, ცაგერის, ჭიათურის, შახარაძის, ახმეტის, მარნეულის, ცხაკიას, გარდაბანის, ხაშურის, წულუკიძის, ადიგენისა, და ბოგდანოვების რაიონულმა განყოფილებებმა უახლოეს დღეებში ჩამოყალიბონ რუსული ენის კურსების ჯგუფები გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით და მსმენელთა დაგვემილი კონტინგენტით.

3. თბილისის საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებამ:

ა) ყოველმხრივად გააძლიეროს ხელმძღვანელობა რუსული ენის კურსებზე და უმოკლეს ვაღაში უზრუნველყოს ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება და კურსების მუშაობის გაუმჯობესება.

ბ) საქ. ქ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის წინაშე დასვას საკითხი ქ. თბილისის რაიონების ხელმძღვანელი ორგანიზაციების მხრით, რუსული ენის კურსებისადმი დახმარების შესახებ.

4. აღინიშნოს, რომ სახალხო განათლების ქ. ქ. ჭიათურისა და რუსთავის საქალაქო, ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის, ხაშურის, დუშეთის, ზუგდიდის, დმანისის, მარნეულის, ჩხარის, გარდაბანისა და ბოგდანოვების რაიონულმა განყოფილებებმა არ შეიძლეს საჭირო ზომები იმისათვის, რომ დროულად ჩამოყალიბებით წრები გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით და უზრუნველყოთ მსმენელთა რეგულარული დასწრება მეცადინეობაზე.

5. უახლოეს ხანში კოლეგიის სხდომაზე მოსმენილ იქნეს საკითხი რუსული ენის კურსების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ იმ რაონებში, სადაც წრები დაგვიანებით ან გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლები რაოდენობით იყო ჩამოყალიბებული ან ცუდი იყო მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი გ. კუპრაშვილი

16 0/19. 2-



3/მგ. რედაქტორი მ. ბუჩაზელაძე

ც/00262.

შეკ. № 2149.

ტირაჟი 2.000

სელმოწერილია დასაბეჭდად 3/XII-49. ანაწყობის ზომა 6×10 . ქაღალდის
ზომა 60×84 . ნახევრ ფორმათა რაოდენობა 4.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიულ მრეწვე-
ლობის, გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამსართველოს
სტამბა № 2. ობილისი, ფურცელაძის ქ. № 5.